# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 თებერვალი, 2011 წელი.

№29 (6641)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# 1913-დან — 2015-მდე

პრეზიდენტი და მთელი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნის ვადას 2013 წელზე იქით წევენ და აქედანვე გვაჩვევენ, რომ 2015-ის მათია, რომ ნაცმოძრაობა საქართველოს შორეულ მომავალსაც ჭედავს. აკი თავისი მოხსენება ასე მაჟორულად დაამთავრა კიდეც ბატონმა პრეზიდენტმა: საზოგადოება, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ მისტიროდეს წარსულს, ოცნებობს და ისწრაფვის მომავლისაკენ!



## გიორგი თარგამაძე:

მე არასოდეს ვყოფილვარ თქვენი პოლიტიკური მხარდამჭერი, მაგრამ საქართველო ყველა პოლიტიკაზე მაღლა დგას და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ ან ერთად წავალთ წინ, ან ორმოში ჩავარდნა გარდაუვალია





## გიორგი ცაგარეიშვილი:

პრეზიდენტის სავარძლიდან პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მორგება არ გამოგივათ. პირველ რიგში, ამას არ დაუშვებს ქართველი ხალხი



## ქამელეონი თუ ლეღვის ფოთოლი?

## მკითხველთა თხოვნით

② ③ ④ ⑥ ⑦



## ყველაზე დიდი მონოპოლისტი თავად პრეზიდენტია



## ილია მეორე:

## რუსებო, რაში გჭირდებათ აფხაზეთი ან ცხინვალის რეგიონი, თუ საქართველოსთან მეგობრობას დაკარგავთ

②

## სახელმწიფო თანხების მითვისების ბრალდებით 16 პირი დააკავეს

②

## საქართველო კვლავ ტორეადორის წითელი ნაჭრის როლში

⑤

⑤

## ლევან რამიშვილმა და კახა ბენდუქიძემ ახალი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს!



ლიტერატურული გაზეთი

№42

წიგნიდან:

დამალამეგინე, გამათენეგინე!

## ქებათა ქება პედერასტიას,

ანუ „ლიტერატურული გაზეთის“ შეუსაბამო პოზა

⑨

ნახევრად ღია წერილი რედაქტორ ირაკლი ჯავახაძეს

პატრიარქი

# ილია მეორე: რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ვუთხარი, რაში გჭირდებათ აფხაზეთი ან ცხინვალის რეგიონი, თუ საქართველოსთან მეგობრობას დაკარგავთ

**დიდ ბრიტანეთში ვიზიტით მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ „ბი-ბი-სის" რუსულ რედაქციას ინტერვიუ მისცა, რომელსაც ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი უძღვებოდა.**



**— თქვენო უწმინდესობავ, მადლობას მოგახსენებთ, რომ დათანხმდით რუსულ ენაზე მიგვეცათ ინტერვიუ „ბი-ბი-სის" რუსული განყოფილებისათვის.**

— მე ვილაპარაკებ რუსულად, რადგან ქართულ ენაზე გადაცემა არ არის. ყველას გულითადად მივესალმები.

**— ინტერვიუ რუსულ-ქართული ურთიერთობებით დავიწყოთ. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თქვენ მშვიდობიანი მოლაპარაკების ინიციატორი იყავით და კონფლიქტის ზონაში თავად იმყოფებოდით. თუმცა, ამაზე მხოლოდ ცოტა რამ არის ცნობილი...**

— როცა გორს ვესტუმრე, იქ ჯერ კიდევ ძალიან საშიში იყო. ორი მანქანა მიმაცილებდა, რომ ჩემთვის სნაიპერს არ ესროლა. ჩვენ მინდორზე დალუპული ქართველი ახალგაზრდების გვამებს ვხედავდით. მახსენდება, გზის პირას მანქანა იყო გაჩერებული. შემდეგ გავიგეთ, რომ მისი მძღოლი მკვდარი იყო. ჩვენ იგი მანქანიდან გადმოვიყვანეთ და თბილისში გადმოვასვენეთ.

**— თქვენს ტიტულს კიდევ ერთი ახალი ეპარქია შეემატა. ოფიციალურად თქვენი ტიტულია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა. ფიზიკურად როგორ შეძლებთ უწინამძღოლოთ ეპარქიას, რომელზეც ამჟამად ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება.**

— აფხაზეთსა და ცხინვალში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქცია ნამდვილად ვრცელდება და ამას რუსული მართლმადიდებლური ეკლესიაც აღიარებს. მე 11 წლის განმავლობაში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი, ამიტომაც ეს ეპარქია ჩემთვის ძალიან ახლობელი და გასაგებია. კარგად ვიცნობ აფხაზ ხალხს და ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში აფხაზეთსაც ვეწვევი, როგორც ამ ეპარქიის წინამძღოლი.

**— ეს ფიზიკურად რამდენად უსაფრთხო და შესაძლებელია არსებული სიტუაციის გათვალისწინებით?**

— რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების ურთიერთობებს. ჩვენ მადლობა ღვთისა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს, მხარდაჭერისა და იმისთვის, რომ რუსული ეკლესია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ქართული ეკლესიის კანონიკურ უფლებებს ცნობს. ვფიქრობ, რომ უწმინდესი პატრიარქი და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პრობლემების დარეგულირებაში დაგვეხმარებიან. მე ერთმნიშვნელოვნად ვუთხარი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რაში გჭირდებათ აფხაზეთი ან ცხინვალის რეგიონი, თუ საქართველოსთან მეგობრობას დაკარგავთ. საქართველოს კარგად ესმის, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა. მაგრამ ამავე დროს, რუსეთი სეპარატიზმს უჭერს მხარს და ამავე დროს, საკუთარ ქვეყანაში სეპარატიზმს ებრძვის კიდეც.

**— ბრიტანეთში თქვენი ვიზიტის ფარგლებში თქვენ მის აღმატებულება დედოფალ ელიზაბეტ მეორეს შეხვდით. რაზე საუბრობდნენ გუშინ ბუკინგემის სასახლეში მონარქი და პატრიარქი?**

— პირველ რიგში, ეს ძალიან თბილი და გულითადი შეხვედრა იყო. უნდა ვთქვა, რომ საქართველო დიდ პატივს სცემს მის უდიდებულესობა დედოფალს. დედოფალმა ბრძანა, რომ რთულია დიდი სახელმწიფოს მეზობელი იყო.

ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა პატარა სახელმწიფოებმა თვითმყოფადობა და კულტურა შეინარჩუნონ, რათა დიდმა სახელმწიფოებმა სხვების კულტურები არ ჩაყლაპონ. მე ვთვლი, რომ „ბი-ბი-სი" იმისთვის მუშაობს, რათა გაავრცელოს კულტურა, ურთიერთგაგება, თავისუფლება, მშვიდობა და დემოკრატია, რისთვისაც მე დიდად მადლობელი ვარ.

ოპოზიცია

# ყველაზე დიდი მონოპოლისტი თავად პრეზიდენტია

## ლეიბორისტების დაგვიანებული ბრალდება

**დიდი იყო ინტერესი, რა მოხდებოდა პარლამენტში პრეზიდენტის სტუმრობის დღეს. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ მიხეილ სააკაშვილი გაცილებით კარგად იყო მომზადებული, ვიდრე სატელევიზიო გამოსვლისას, როცა ასე ვთქვათ ონლაინ რეჟიმში უწევდა მოსახლეობის კითხვებისთვის პასუხის გაცემა. სხვა ყველაფერთან ერთად, პარლამენტში გამოსვლისას მან თავი მოიწონა და განსაკუთრებით დიპკორპუსის გულის მოსაგებად ხმამაღლა აღნიშნა, მსგავსი საინტერესო დებატები ამ პარლამენტს არ ახსოვსო. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ მისი წინამორბედი საკანონმდებლო ორგანოს კიდევ უფრო ხშირი სტუმარი იყო, ხოლო ყველაზე მწარე ოპონირებას სწორედ თვითონ უწევდა. ბოლოს და ბოლოს, შევარდნაძის მისართმევი ჩაი სააკაშვილმა არ დალია?! იმ პარლამენტის დებატებიც გაცილებით სპონტანური და ცოცხალი იყო, ვიდრე ეს ბრტყელ-ბრტყელი მოხსენებები, რომელმაც ბევრს დადგმული სპექტაკლის შთაბეჭდილება შეუქმნა. სხვა თუ არაფერი, ინფლაციაზე საუბრისას პრეზიდენტს რატომღაც ძალიან ოპერატიულად აღმოჩნდა მეზობელი ქვეყნების ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებლები, თანაც სამი წლის...**

როცა ხელისუფლებას საპარლამენტო ოპოზიცია მთავარ მანკიერ თვისებაზე კორუფციასა და მონოპოლიებზე უთითებდა, პრეზიდენტმა შენიშვნები არ მიიღო, ლევან ვეფხვაძეს შეედავა, როცა „სოკარი" მონოპოლიასა და კარტერულ გარიგებაში დაადანაშაულა, ხოლო გურამ ჩახვაძეს პირდაპირ მოსთხოვა, დაესახელებინა კორუფციონერი და ემხილებინა. დეპუტატმა დაუსაბუთებელი არგუმენტისაგან თავი შეიკავა და შედარებით დაალზო პასუხი, თქვენ, რა თქმა უნდა, არაო. საფიქრებელია, რომ ჩახვაძემ კონკრეტიკა ვერ შებედა პრეზიდენტს, თორემ, ნუთუ მას გაუჭირდებოდა გვარ-სახელების დასახელება, ყოფილების მაინც?! თუნდაც ირაკლი ოქრუაშვილის, რომელიც თავისი სურვილით რომ არ წასულიყო ხელისუფლებიდან, დღემდე შესაძლოა სამთავრობო პოლიტიკა სწორედ მას განეკარგა. თუმცა მისი გაოპოზიციონერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე დამნაშავე ყოფილა. დღესაც პარლამენტში დევს კონტროლის პალატის დასკვნები სხვადასხვა უწყებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ... ხოლო რეაგირება ნულის ტოლია.

მართალია, გურამ ჩახვაძემ თავი კორექტულად შეიკავა, მაგრამ ქვეყანაში არსებულ კორუფციას კონკრეტული ციფრებით გამოეხმაურნენ ლეიბორისტები, რომლებმაც მთავარ მონოპოლისტად სწორედ ქვეყნის პრეზიდენტი დაასახელეს. გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა **გიორგი გუგავამ** აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის ქონება სამ მილიარდ დოლარს აჭარბებს **„ყველა ძირითადი ბიზნესსექტორი მან ჩაიგდო ხელში და სრულ მონოპოლისტად გადაიქცა. ბიზნესების ჩამონათვალში არის უმსხვილესი ნავთობკომპანიები „ვისოლი" და „სოკარ ენერჯი ჯორჯია", სადაზღვევო კომპანია „ირაო", სააქციო საზოგადოება „მადნეული", თბილისისა და ბათუმის აეროპორტები, კომპანია „ბილაინი", ხე-ტყის ბიზნესი, თხილის ბიზნესი, უნივერსიტეტი „საქართველო" და „ლიბერთი ბანკი"... ეს მიხეილ სააკაშვილის ბიზნესის არარსებული ჩამონათვალია და უხეში გათვლებით მისი ქონება 3 მილიარდ დოლარს შეადგენს",** — აღნიშნა მან.

გუგავას მტკიცებით, პრეზიდენტს ბიზნეს-ინტერესები მედიის სფეროშიც აქვს და იმ კომპანიების აქციებს ფლობს, რომლებიც ოფშორულ ზონებში არიან რეგისტრირებულნი.

**„საქართველოში პრაქტიკულად ყველა მსხვილ მონოპოლურ ბიზნესს სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები ფლობენ. სწორედ ამ მონოპოლიების და კორუფციული სქემების შედეგია, რომ ქვეყანაში სოციალური გენოციდი მიმდინარეობს",** — ირწმუნება ლეიბორისტი.

ძალიან საინტერესო იქნებოდა ეს ბრალდებები ცოცხლად მოესმინა პრეზიდენტს, თუნდაც შალვა ნათელაშვილისგან. წესით, მას ოფიციალური დოკუმენტებით გამყარებული ბრალდებები უნდა აეფრიალებინა სააკაშვილისთვის, მაგრამ, ალბათ, ასეთი დებატების მომსწრე ჩვენი საზოგადოება ვერასოდეს გახდება, რადგან სადაც არის მიხეილ სააკაშვილი, იქ ლეიბორისტების ფეხი ამოკვეთილია. სამწუხაროდ, ვერ მოვისმენთ პრეზიდენტის პასუხს იმ სერიოზულ ბრალდებებზე, რის შესახებაც საზოგადოებას დიდი ხანია ეჭვი აქვს. სამაგიეროდ, ვისმენთ აბსტრაქტულ შეფასებასა და ვირტუალურ სიკეთეებზე კომენტარებს, ხოლო არავინ კითხულობს მთავარს? — ეტყობა კი ამ წარმატებების შედეგი სოციალურ ფენას, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს?!

გუგავას განმარტებით, პარლამენტში გამართული დებატები მხოლოდ ერთი რეჟისორის დადგმული სპექტაკლი იყო, რომელიც მიზნად სააკაშვილის ხელისუფლებისთვის დემოკრატიულობის იმიჯის შექმნას ისახავდა. ხოლო პრეზიდენტის გამოსვლას ცრუ და მაოხრებელი უწოდა. „სააკაშვილის ორპირობა და სიცრუე მსოფლიოში ყველა ცნობილ მატყუარას ერთად აღებულს აღემატება", — დასძინა მან.

**მართალი გითხრათ, ვერ გეტყვით, რამდენად შესძლო სააკაშვილმა მსოფლიოს გადმობირება, მაგრამ პარლამენტში გამართულ დებატებს ელჩების უმეტესობამ ვერ გაუძლო და პრეზიდენტის შემაჯამებელ სიტყვას არ დაელოდნენ. დიდი გამძლეობით მხოლოდ ამერიკის ელჩი და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორი გამოირჩნენ. თუმცა ამ ორისთვისაც ხომ სააკაშვილის სტილი სრულიად ნაცნობია?!..**

თეა მოსია

SIC!

# სახელმწიფო თანხების მითვისების ბრალდებით 16 პირი დააკავეს

პროკურატურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების მითვისების ბრალდებით ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალჩინოსნები და საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების სახელმწიფო პროგრამების მენეჯერები დააკავეს.

როგორც პროკურატურაში გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე აღნიშნა, დაკავებულები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს 7 თანამშრომელი და კომპანიების: „ალფას„, „არქიმედეს", „გლობალ ჯორჯიას„, „ალდაგი ბი სი აის", „იმედი L„-ის, „ირაოს", „აისი ჯგუფის„ და „ჯი პი აი ჰოლდინგის„ სახელმწიფო პროგრამების მენეჯერები.

„აღნიშნულმა პირებმა ყალბი საბუთების გამოყენებით, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული ვალდებულებების უგულებელყოფისა და მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, არ დაარიგეს სოციალურად დაუცველი ფენებისთვის განკუთვნილი სადაზღვევო პოლისები და შესაბამისად, თავი აარიდეს გასაწევი სამედიცინო დახმარების ხარჯებს, რის შედეგადაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან მიითვისეს 5 მილიონზე მეტი", - განმარტავენ პროკურატურაში.

ასევე, გამოძიებით დადგენილია, რომ „ალფას„ სახელმწიფო პროგრამების შესყიდვებისა და მართვის სამსახურის უფროსმა და სახელმწიფო პროგრამების მენეჯერმა საგამოძიებო სამსახურის მიერამფაქტთან დაკავშირებით დაკითხულ თანამშრომლებზე მოახდინეს ზეგავლენა და ისინი აიძულეს „არ მიეწოდებინათ გამოძიებისთვის ინფორმაცია პოლისების დაგვიანებით მიწოდების თაობაზე".

დაკავებულების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლითაა აღძრული. მათ საბუთების გაყალბება, ბიუჯეტის განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მითვისება და გაფლანგვა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ბრალდებათ.

აღსანიშნავია, რომ საქმეზე გამოძიება კონტროლის პალატის დასკვნის შემდეგ დაიწყო.

ჯი-ეიჩ-ენი

თხოვნა

# მხარი დავუჭიროთ ქართულ აკადემიას!

## სამოქალაქო მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" დამფუძნებლების მიმართვა

**გულისყურითა და გულისტკივილით გავეცანით ქართული აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ ანალიტიკურ წერილს „ტკბილ-მწარე საახალწლო ფიქრები", რომელიც პირუთვნელი და სრულყოფილი ანარეკლია 2010 წლის საქართველოს იმ „ტკბილ-მწარე" რეალობისა, რომელიც სიტკბოს განცდას მხოლოდ გოზინაყის დაგემოვნებისას თუ გამოიწვევს.**

მიგვაჩნია, რომ საქვეყნოდ აღიარებულ პროფესიონალთა მიერ მაღალი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პოზიციებიდან შემოთავაზებული ანალიზის გაცნობა და გაცნობიერება საშური და საჭირო საქმეა, როგორც ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო ვაკუუმში აღმოჩენილი მოსახლეობისთვის, ასევე საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების, დიპლომატიური და უფლებადამცველი წრეებისათვის.

ვადასტურებთ რა ჩვენს პატივისცემას ქართული აკადემიის წევრებისადმი, მივმართავთ თხოვნით დონორ ორგანიზაციებს და საქართველოს გმირ ბიზნესმენებს, შეძლებისამებრ, მხარი დაუჭირონ ქართულ აკადემიას ზემოთხსენებული ანალიტიკური ნაშრომის უცხო ენებზე თარგმნასა და გამოქვეყნებისთვის.

**სოსო ცისკარიშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, ირაკლი სესიაშვილი, ეკა ბესელია, მანანა კობახიძე, უჩა ნანუაშვილი, ლევან ჩიტაძე, ლილი გელაშვილი, შორენა კოწოწაშვილი, ირინა ფუტკარაძე, ნანა კაკაბაძე, ზურაბ დიასამიძე, ნინო რატიშვილი.**

### ◉ ყოველწლიური საანგარიშო...

# 1913-დან 2015-მდე

პრეზიდენტის ყოველწლიურ საანგარიშო მოხსენებას მოუთმენლად ელოდა არა მხოლოდ პარლამენტი, არამედ პარლამენტგარეშე ჩასაფრებული საზოგადოებაც.

დაბეჯითებით დადიოდა ხმები, პრეზიდენტმა ამ დღეს ისეთი რამ უნდა თქვას, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არ თქმულა საქართველოშიო.

ჰოდა, ის ცხოველი მოლოდინი სრულიად ბუნებრივი იყო...

დასაწყისში ბატონმა მიშამ კმაყოფილება, უფრო სწორად თვითკმაყოფილება გამოთქვა, რომ სამსახურიდან გამომდინარე აქვს ბედნიერება ქართველ პოლიტიკოსებს შორის ყველაზე მეტად იმოგზაუროს არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც.

პრეზიდენტმა ხალხს იმედი არ გაუცრუა. თუმცა, რა თქმა უნდა, ისეთი არაფერი უთქვამს, კაცის ყურს რომ ჯერ არ გაუგონია 2003 წლის შემდეგ. მაგრამ, ზოგადად, საკმაოდ თვითკრიტიკულ-მამხილებელი პათოსი ჰქონდა, სიტყვის პირველ ნახევარში მაინც, განსაკუთრებით — გაზრდილ ფასებსა და გაძვირებულ ყოფაზე დაგვაკბენინა თათები. ჩემი პრეზიდენტობა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას, მისი პრობლემების შემსუბუქებას, მათი ოჯახების უკეთეს ხვალინდელ დღეს ექღვნებაო, შეუვალად განაცხადა და ხაზი გაუსვა, უამრავი ოჯახი სასოწარკვეთილებამდეა მისული, დაკარგული აქვს ხვალინდელი დღის იმედი გაზრდილი ფასების გამოო.

ერთი სიტყვით, ბატონმა პრეზიდენტმა ნათლად დაგვისურათხატა ხალხის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რაც ყველამ ისედაც კარგად ვიცოდით, ოღონდ ის არ ვიცოდით, მანაც თუ იცოდა. სცოდნია! ვერ დავმალავ: მისი აღმატებულება პრეზიდენტის ენა-პირით გამეორებული მაინც დამაინტრიგებლად მოსასმენი იყო.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბატონი მიხეილი მხოლოდ შავბნელი ვითარების აღწერით არ შემოიფარგლა. ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რითაც უნდა ვებრძოლოთ სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდას, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებაა, ამისთვის მოვაგროვებთ და გამოვყოფთ 150 მილიონ ლარსო. იმავდროულად გმიროზის ორიენტირიც მიგვითითა — ამირან მაჭარაშვილი.

ლაგოდეხელმა ამირან მაჭარაშვილმა, რომელმაც ხარისხიანი თესლი დათესა და ჰექტარზე 8,5 ტონა სიმინდი მოიწია, აჯობა მუყაით მამუკა გოგოლაძეს, რომელსაც თესლი არ უვარგოდა. მამუკა და სხვა ფერმერები აწი გამჭრიახ ამირანს მიბაძავენ, მაღალხარისხიან თესლს (ამერიკულსძ დათესავენ და საქართველო უკვე წლეულს სიმინდის ექსპორტიორი გახდება.

წუთშესვენება. ბატონ პრეზიდენტს არ გაუხმაურებია მოხშირებული ხმები, რომ ამერიკული სიმინდი, რომელიც მაღალ მოსავალს უზრუნველყოფს, საჭმელად დიდი ბედენა ვერ არის და ძირითადად მეცხოველეობაში გამოიყენება, მეორეც, თესლს ყოველწლიურად უნდა შესყიდვა (არადა, საკმაოდ ძვირი ღირსძ, რადგან მეორე თაობაში ჯორივით მოსავალს არ იძლევა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, იმაზეც მადლობა ვთქვათ, რაც გვეძლევა, განა მეცხოველეობის განვითარება იქნება პატარა საქმე? წარმოიდგინეთ, რამდენი ამირანი და მამუკა გვეყოლება გაისად პარლამენტში მისაბაძ სტუმრად პრეზიდენტის 2012 წლის საანგარიშო მოხსენებაზე. ხვავრიელი სამომავლო საექსპორტო მოსავლით წაქეზებულმა პრეზიდენტმა ახალი მიჯნა დასახა: სოფლის მეურნეობის სასაწყობე მეურნეობის მშენებლობა. აბა ღია ცის ქვეშ ხომ ვერ დავტოვებთ ამ ზღვად გამსკდარ მოსავალს?



და აქ ბატონმა მიხეილმა გაამხილა ქვეყნის პროგრამა-მინიმუმი: 2015 წლისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობა დღევანდელ ნიშნულთან შედარებით გაორმაგდება; ასევე გაორმაგდება სოფლის მეურნეობის ეროვნული ნაწარმის ექსპორტი და საქართველოში წარმოებული ღვინის ბოთლების რაოდენობა მიაღწევს წელიწადში 50 მილიონს; ტურიზმი ამერიკული სიმინდივით გალაღდება და წლიური ვიზიტორების რაოდენობა 5 მილიონზე ავა. 2015 წლისათვის აშენებული გვექნება 17 ახალი ჰესი, ჯამში 717 მგვტ ელექტროენერგიის წარმოების მოცულობით, ხოლო „მშენებლობის მდგომარეობაში იქნება“13 ახალი ჰესი 1007 მგვტ საერთო მოცულობით, 2015 წელს, „ჩვენი გათვლებით და დღეს არსებული დინამიკის გათვალისწინებით“, საქართველოს მოსახლეობა დაუბრუნდება 5-მილიონიან ნიშნულს, ქვიშასავით მომრავლებულ ტურისტებს მომსახურება ხომ უნდათ! იმ დროისთვის ბიუჯეტი იქნება გაორმაგებული, უმუშევრობა — ორჯერ შემცირებული, საშუალო ხელფასი 50 პროცენტით გაზრდილი, საქართველოს ექნება ევროპის ყველაზე მზარდი ეკონომიკა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ ისტორიული ეტაპის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და შედეგი მოდერნიზაცია იქნება.

პირდაპირ სახეში გვასუნთქებს ილფისა და პეტროვის „ახალი ვასიუკი“!

კიდევ რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

ვიწყებთ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობას, რომელიც არა მხოლოდ მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას ნავთობპროდუქტებზე, არამედ ჭარბს გავიტანთ კიდეც.

ასეთია წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი ასპექტები. რა თქმა უნდა, იყო ლაპარაკი განათლების სისტემაში მიმდინარე პროგრამა-მონსტრზეც, სერთიფიცირებულ მასწავლებელთა 200-ლარიან დანამატზე და ყველაზე მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა ხელფასის 1000 ლარს გატოლებაზე, ამერიკიდან და კანადიდან ჩამოყვანილ მასწავლებლებზე, რომლებიც თურმე არა მხოლოდ ინგლისურს ასწავლიან ჩვენს ბავშვებს, არამედ... გზას უხსნიან მსოფლიო მოქალაქეობისკენ!!!

ბატონ პრეზიდენტის მოხსენებაში ძირითად ორიენტირად 2015 წელია დასახელებული. ეს უთუოდ ეცემოდა ყველას ყურში მოხსენების სმენისას. პრეზიდენტმა ასე განმარტა, ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს განვითარების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით და 2015 წელი ამ გეგმის პირველი შედეგების შეჯამების წელია. ჩვენი გეგმა ეფუძნება საქართველოს შესაძლებლობებს, რეფორმათა მიმდინარეობის არსებულ დინამიკას, ჩვენს რეალურ ადამიანურ (ამირანი, მამუკა და ა. შ.ძ და მატერიალურ რესურსებს და უკვე დაწყებულ პროექტებსო. SIC! — გვახსოვს: კომუნისტები მთელი 70 წლის მანძილზე შესადარებელ მიჯნად 1913 წელს ილებდნენ. ახლა ბედნიერი 2015 წლის ჯერი დგება.

პრეზიდენტისეული ახსნა, იცოცხლეთ, გამართულია, მაგრამ ხალხში მოარული განმარტება ამ მოვლენისა, სულ სხვაგვარად წარმოგვიჩენს მას: პრეზიდენტი და მთელი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნის ვადას 2013 წელზე იქით წევენ და აქედანვე გვაჩვევენ, რომ 2015-იც მათია, რომ ნაცმოძრაობა საქართველოს შორეულ მომავალსაც ჭედავს. აკი თავისი მოხსენება ასე მაჟორულად დაამთავრა კიდეც ბატონმა პრეზიდენტმა: საზოგადოება, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ მისტიროდეს წარსულს, ოცნებობს და ისწრაფვის მომავლისაკენ!

ასეთი იყო მ. სააკაშვილის ყოველწლიური მოხსენების ძირითადი მომენტები, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მომხსენებელს, რა თქმა უნდა, არც რუსეთისთვის კბილის გაკვრა დავიწყებია, ოღონდ ადრინდელისგან, თუნდაც ამ ცოტა ხნის წინანდელი ვიდეოხიდისგან განსხვავებით, რუსეთის ხელმძღვანელებისთვის რეპტილიები და კაციჭამია ნიანგები არ უწოდებია.

დებატების დროს პრეზიდენტის მოხსენებას, როგორც „არარეალურს და პოპულისტურს“ საკმაოდ უარყოფითი შეფასება მისცეს პარლამენტის ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლებმა. ყოველ წელს აშენებას გვპირდები და მერე არაფერი კეთდებაო, თქვენი მოჩვენებითი მზრუნველობა ხალხს არ სჯერაო, თქვენ ჰგავხართ იმ მწყემსს, ვისაც თავისი ფარის განადგურება განუზრახავსო, სად არის შეპირებული დემოკრატიული რეფორმები, სად არის შეპირებული 100 დოლარის ეკვივალენტური პენსიაო, თქვენ ბრძანეთ რომ 25 ათას დევნილ ოჯახს გადაეცა ქონება საკუთრებაში, არადა, რეესტრის მიხედვით, ასეთი მხოლოდ 7,5 ათასი ოჯახიაო, პრეზიდენტი არაადეკვატურია არსებული რეალობის მიმართო...

სამაგიეროდ, მოხსენება დიდმნიშვნელოვან დოკუმენტად აღიქვა უმრავლესობამ: პრეზიდენტი არ გაურბის არც ერთ თემას, პრობლემას, მას აქვს ზუსტი ხედვა ყველა საკითხზეო. ზოგიერთი მათგანის (ნ. წიკლაურიძ გამოსვლა პატრიოტულ-ჰეროიკული მჭევრმეტყველების ნიმუშიც იყო: საქართველო არ უშინდება ცეცხლსა და გრიგალს! და ა. შ.

ამ მოხსენებამ არა მხოლოდ ეჭვებით აღგვავსო, ლიდერისადმი საპარლამენტო უმრავლესობის მონოლითური ერთგულებისა და მხარდაჭერის მაგალითიც გვიჩვენა და ახალი ეროვნული გმირებიც წარმოგვიჩინა, მაგალითად, 22 წლის თამთა ხარებავა, რომელმაც 6 წუთში მოახერხა ტვირთის განბაჟება!!!

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!..“

იმდღევანდელი მწველი შთაბეჭდილებები მომავალი წლის საანგარიშო მოხსენებამდე გაგვინათებს გზას!..

**სანდრო ალექსიძე**

### ◉ აქტუალური ინტერვიუ

# საქართველოს მოდერნიზაციაზე ფართო დისკუსიები ჩვენს საზოგადოებაშიც აუცილებელია



***რუსეთის მოდერნიზაციის სავარაუდო სცენარების შესახებ თბილისში რუსი, ამერიკელი, გერმანელი, თურქი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ესტონელი ექსპერტების მონაწილეობით გამართული სემინარის შთაბეჭდილებებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***

**— ბატონო ზურაბ, გასულ კვირას თბილისში რუს ექსპერტთა მონაწილეობით რუსეთში მიმდინარე პროცესების ანალიზსა და იმას, რეალურად ტარდება თუ არა რუსეთში მოდერნიზაციული პოლიტიკა და თუ როგორ აისახება იგი კავკასიის რეგიონსა და საქართველოზე სემინარი მიეძღვნა. გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები სემინარის მსვლელობისა და რუსეთში ვითარების შეფასების მცდელობაზე...**

— რუსეთის საზოგადოებაში, პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში ბევრს საუბრობენ რუსეთის მოდერნიზაციის აუცილებლობაზე. მოდერნიზაცია პრეზიდენტ მედვედევის მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი და ამოცანაა. ამ დევიზით მოვიდა იგი ხელისუფლებაში და ქვეყნის მოდერნიზაციას თავის მთავარ პოლიტიკურ კრედოდ თვლის. რუსეთის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ამ პროცესის მიმართ დიდი ინტერესია არა მხოლოდ რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, თუ რა გზით წავა და როგორ განვითარდება რუსეთი.

**— იმ რუს ექსპერტთა აზრით, ვინც თბილისის სემინარში მიიღო მონაწილეობა, უახლოეს მომავალში რუსეთის მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის ალბათობა საკმაოდ დაბალია...**

— იმაზე, თუ რა ხდება რუსეთში და როგორ ხედავენ ამ ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესს, ჩვენ სემინარში მონაწილე ყველა ექსპერტის ანალიზის მოსმენის საშუალება გვქონდა. რუსეთის მოდერნიზაციის პერსპექტივებზე მათი აზრი მართლაც საკმაოდ თავშეკავებულია ან პესიმისტური..

**— რუსმა ექსპერტმა ანდრეი რიაბოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთში კიდევაც რომ დაიწყოს ქვეყნის რეალური მოდერნიზაცია, ამას 10-15 წელი დასჭირდება, მაგრამ, მოდერნიზაციის შემდეგ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის გაძლიერებას შეეცდება. დარჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს „თავისუფალი ცურვისათვის“ 10-15 წელი აქვს, ხოლო შემდეგ მოდერნიზებული რუსეთისაგან კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უნდა ელოდეს...**

— ვიმეორებ, არანაირი „გარანტია“ რუსეთში მოდერნიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისა რუს ექსპერტებს ჩვენთვის არ მოუციათ. საერთო აზრია, რომ პუტინის მმართველობის პერიოდი ქვეყნის მოდერნიზაციის თვალსაზრისით ფაქტობრივად დაკარგული დროა. ამ კუთხით ქვეყანას რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაუდგამს. როცა რუსეთს ენერგორესურსების ექსპორტიდან ძალიან დიდი შემოსავლები ჰქონდა, სწორედ ამ პერიოდში შეეძლო ხელისუფლებას მოდერნიზაციული პოლიტიკის გატარება. რუს ექსპერტთა დასკვნა ასეთია: ახლა მოდერნიზაცია კიდევ უფრო რთული იქნება, ვინაიდან დღეისათვის რუსეთს ამის რესურსები ბევრად ნაკლები აქვს. ანუ, მოდერნიზაციისათვის საუკეთესო დრო დაიკარგა. თუმცა, ისეთმა აზრმაც გაიჟღერა, რომ რუსეთი ისტორიულად მოდერნიზაციის აუცილებლობას მაშინ ხედავს, როცა ის დიდი პოლიტიკური ან სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

იხ. 4 გვ.

„ჩასვრილთა" გალერეა

# ქამელეონი თუ ლეღვის ფოთოლი?

ეროვნულ-დემოკრატ გურამ ჩახვაძის პარლამენტში გამოსვლის გამო, მოქალაქეები აღშფოთებას ვერ მალავენ. სოციალურ ქსელებში ამ პოლიტიკოსს უარყოფითად მოიხსენიებენ. მართლცდა, თუ სახელისუფლებო გუნდს „ელიტარულ კორუფციაში" ადანაშაულებ, მაშინ ბოლომდე უნდა თქვა, რას გულისხმობ და სიტყვები უკან არ უნდა წაიღო.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გურამ ჩახვაძეს კორუმპირებული პოლიტიკოსების დასახელება მოსთხოვა.

„ამ დარბაზში არის პოლიტიკური ელიტა, აქ არის პრემიერმინისტრი, პრეზიდენტი, მინისტრები, დეპუტატები, ვინ არის



ამ ხალხიდან კორუმპირებული, მე ეს ძალიან მაინტერესებს", — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს პოლიტიკური ელიტა არის ძალიან სუფთა და სააკაშვილი ამას მთავრობის მთავარ მიღწევად აფასებს.

„მე არ მიგულისხმია, რომ ეს თქვენ ხართ, მე ვთქვი, რომ ბევრი თანამდებობის პირი დაიჭირეს, და ეს გულისხმობს, რომ ქვეყანაში კორუფცია არსებობს", — უპასუხა პრეზიდენტს ჩახვაძემ.

ამ აშკარად უსუსური პასუხის შემდეგ, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები: რატომ წაიღო უკან თავისი სიტყვები ჩახვაძემ და არ დაასახელა „ელიტარული კორუფციის" დამადასტურებელი ფაქტები? ანდა, თუ მაინც უკან წაღებას აპირებდა, საერთოდ, რატომ დასვა ეს შეკითხვა?

ეს დებატები პარლამენტში Facebook-ზე კლოუნ-მეჯიძ-შოუდ მონათლეს და რომ ჩახვაძემ უკაცრავად და ჩაისვარა. „ადრეც და ახლაც ედპ ლეღვის ფოთლის ფუნქციას ასრულებდა. ადრე სარიშვილი ხელმძღვანელობდა შევარდნაძის პარლამენტში (მაგალითად: 7-პროცენტიანი ბარიერი მისი ინიციატივა იყო), ახლა ჩახვაძეები და მისი ძმაკაცები (მაგალითად: დიდი კონსტიტუციონ-რეფორმატორები, ზოგმა ელჩობაც რომ დაირტყა კაი მუშაობისთვის..."

„სად გადის პრეზიდენტის მიერ გასაჩუქებელი ობიექტის ღირებულების ზღვარი? რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობს მიხეილი ობიექტების გაჩუქების დროს? მიშას ინიციატივით პარლამენტმა მიიღო დადგენილება და „ეროვიზიებს" 32- მილიონიანი დავალიანება ეპატია. აწი, არკვიეთ, ვის და რატომ ეპატია ეს დავალიანება და არის თუ არა ეს სამთავრობო-საპარლამენტო კორუფცია..." (დავით რობაქიძე).

„ეს კაცი ვერ გავშიფრე...ქამელეონივითაა..." „შემეცოდა ეს კაცი, დასჯილი პიონერივით იდგა ტრიბუნაზე..."

„აზრზე არ ვარ, ვინ არის და საიდან მოვიდა, როგორ მოხვდა პარლამენტში და რას აკეთებს იქ?

„რატომ უნდა ვაფინანსოთ საქართველოს მოქალაქეებმა ასეთი არარაობა ტიპი „პარლამენტარები, არ მესმის!"

„ალბათ დიდად დავალებულია მთავრობასთან... ისე კი, ვინ იმსახურებს ჩვენგან მხარდაჭერას?- ნათელ წერტილს ვერ ვხედავ, უკაცრავად..."

Facebook-ზე „ელიტარული კორუფციის" შესახებაც იმსჯელეს, ანუ იმაზე, რაც შეიძლებოდა ჩახვაძეს ეთქვა: ხელფასი საჯარო სამსახურში 3 000 ლარი + პრემიები, პენსია გაჭირვებულთათვის - 90 ლარი;

სამთავრობო სასახლეები ასობით მილიონი ღირს; მცირე მეწარმეების მხარდაჭერა — 0, სოფლის მეურნეობის დაფინანსება — 0; ესაა მმართველობა, რომელიც ორიენტირებულია ე.წ. შუშის შენობებზე, რეალურად კი დახვეწილი ტექნოლოგიებით ძალზედ დაფარული კორუფციული ურთიერთობებია..." „პარტიიდან და ხელისუფლებიდან გარიცხული მოკვდავნი, — ოქრუაშვილიც, ბურჯანაძეც და ნოღაიდელიც თურმე რამდენიმე მილიონის მფლობელნი გამხდარან ხელისუფლებაში ყოფნისას;"

„ხელისუფლებასთან დაახლოებულ სადაზღვევო კომპანიებს წლის ბოლოს თურმე სამედიცინო მომსახურების 70 პროცენტი მოგება რჩებათ — უექიმოდ კი დარჩენილია მოსახლეობის დიდი ნაწილი;"

„აღზევებულია ხელისუფლების მხარდამჭერი მეწარმეები; დაპატიმრებულია მეწარმეები, რომლებიც ხელისუფლებას მხარს არ უჭერენ...

ნეპოტიზმი მძლავრობს - ხელისუფლების წევრთა ნათესავნი, მეგობარნი შემოსავლიან ადგილებს იკავებენ..."

„უზენაეს სასამართლოს მოსამართლეთა ხელფასები მინიმუმ 4 000 ლარია, ეს ხომ იგივე ქრთამია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებიდან, რომ ისინი არ შეეწინააღმდეგონ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას..."

„დეპუტატები პარლამენტის ბოლო მოდელის ჯიპებით დაქრიან, საზოგადოების უმრავლესობას მეტროს და ავტობუსის ფული არ აქვს..."

ეს მხოლოდ ნაწილია იმ აზრებისა, რასაც სოციალურ ქსელში ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ, მე კი ვფიქრობ, რომ ძვირფას პარლამენტარ ჩახვაძეს იმიტომ დასჭირდა კორუფციის თემის წინ წამოწევა და ბლეფი აზრის გამოთქმა, რომ მერე ბატონ მიხეილს საბაბი მისცემოდა და ხმამაღლა, ამაყად ეთქვა, აი, ნახეთ, როგორი პატიოსანი და გაუსვრელი მთავრობა მყავსო!

**ნატა ნიბლაძე**

აქტუალური ინტერვიუ

(მესამე გვერდიდან)

რუსეთი უნდა მოეშვას გავლენის სფეროების ძიებას და თავის თავს უნდა მიხედოს. ასეთი მაგალითიც კი იქნა მოყვანილი, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს შორის სხვაობებზე მეტყველებს. ჩინეთი ეკონომიკურად რუსეთზე 4-ჯერ მეტია, მოსახლეობით 8-ჯერ, მაგრამ ჩინეთს არავის ინტეგრირება, თუნდაც მონღოლეთის, აზრადაც არ მოსვლია. ჩინეთი პოლიტიკური ზეწოლით გავლენის და ბუფერული ზონების შექმნას არ ცდილობს და მთლინად არის კონცენტრირებული ქვეყნის კეთილმოწყობასა და მოდერნიზაციაზე, ამიტომაც არის იგი უფრო წარმატებული, ვიდრე რუსეთი, რომელიც ხშირ შემთხვევაში კვლავ საბჭოური კრიტერიუმებით ზომავს თავის წარმატებებს.

**— ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება ევროკავშირის უმოქმედობაზე ესტონელი ექსპერტის აჩთო ლოშჯაკასის გამოთქმული საყვედური. ლოშჯაკასის მტკიცებით, რომელიც ევროკავშირის სტრუქტურებში საკმაოდ დიდი ხანი მუშაობდა, ევროკავშირი თავისი უმოქმედობით პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის ზრდას უწყობს ხელს და რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ვითარების „უკან დაბრუნების ალბათობა არსებობს". რამდენად საფუძვლიანია ესტონელი დიპლომატის პროგნოზი?**

— საყვედური სრულებითაც არ არის საფუძველს მოკლებული. რეალობა ის გახლავთ, რომ ევროკავშირს რთული დრო დაუდგა. მას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს, რის გამოც პოლიტიკური პრობლემებიც სახეზეა. ასე რომ, გარე სამყაროზე და სამეზობლოზე მისი გავლენის რესურსები საკმაოდ შეზღუდულია. რაც შეეხება რუსეთს, ექსპერტთა აზრი ასეთია: რუსეთი მაღალი ცივილიზაციური სტანდარტის ქვეყანა რომ იყოს, მაშინ მისი გავლენის ქვეშ მოხვედრა ნაკლებად სახიფათო იქნებოდა. ქვეყნები, რომლებიც რუსეთის გავლენის ქვეშ ექცევიან, ემსგავსებიან იმას, რასაც დღეს რუსეთის მოდელი ჰქვია.

**— აშშ და რუსეთი დიდი სახელმწიფოებია და გასაკვირია, რომ ვაშინგტონი კრემლთან თანამშრომლობის სურვილს ავლენს. როგორც ამერიკელი ექსპერტის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის ყოფილი მაღალჩინოსნის ტობი გატის საუბრიდან გაირკვა, აშშ მზადაა არამოდერნიზებულ რუსეთთანაც მჭიდროდ ითანამშრომლოს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი სულაც არ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოიქცევა დასავლეთის დახმარებით მოდერნიზებული, ან სულაც არამოდერნიზებული, მაგრამ უკვე ეკონომიკურად მომძლავრებული რუსეთი?**

— აშშ თანამშრომლობდა სტალინისა და ბრეჟნევის საბჭოთა კავშირთან და ეს გასაკვირი არ არის. ისეთი ქვეყანა, როგორიც აშშ, მსოფლიოში არსებულ რეალობებს ითვალისწინებს. აშშ რუსეთთან ყოველთვის თანამშრომლობდა და ითანამშრომლებს. თუ ამ თანამშრომლობაში რაღაც პოზიტიური ელემენტები გაჩნდება, ამერიკელები ამას მიესალმებიან. ამერიკელმა სტუმარმა იმას გაუსვა ხაზი, რომ ბოლო წლებში ობამას ადმინისტრაციამ რუსეთთან ურთიერთობებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

თუ კაცი მოინდომებს, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში პოზიტივის დანახვა მართლაც შეიძლება. ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერეს ახალ დიდ ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის შეზღუდვის სფეროში. რუსეთმა ასევე გააუმჯობესა ურთიერთობები ევროპის ჩრდილოეთ ქვეყნებთან და პოლონეთთან. რუსეთი კატეგორიულად არ ითხოვს ყირგიზეთის ხელისუფლებისაგან ამერიკელებთან სამხედრო თანამშრომლობას. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავხუჭოთ თვალები იმ სერიოზულ და შემაშფოთებელ მოვლენებზე, რომელთა ყველაზე ნათელი მაგალითი 2008 წლის აგვისტო გახლდათ. რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში კვლავ რჩება დებულებები, რომლებიც ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელია, რუსეთი კვლავ ეპოტინება პოსტსაბჭოთა სივრცეს და ა.შ.

**— ვიკილიქსმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2009 წელს პუტინმა მოსკოვში ვიზიტად მყოფ ნატოს გენერალურ მდივანს რასმუსენს ნატოს დაშლა მოსთხოვა. სხვა თემაა, თუ რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს ვიკილიქსი, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთში არა აქვთ გაცნობიერებული, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საქართველოში დასავლეთი და აშშ ერთად დაამარცხა. ბატონო ზურაბ, რა ხდება, მსოფლიოში ახალ რეალობასთან გვაქვს საქმე თუ?..**

— არა მგონია, რომ რუსეთის ხელისუფლებას რეალურად მიაჩნდეს ნატოს დაშლა. პირიქით, მოსკოვმა გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა ალიანსთან თანამშრომლობის გაფართოებისათვის, რაც მისასალმებელია. ამასთანავე, დასავლეთს გაცნობიერებული აქვს, თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში. მაგრამ, თუკი რუსეთს აქვს მოდერნიზაციის სურვილი, ამას დადებითად აფასებენ, რადგან მოდერნიზებულ, ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრირებული რუსეთი სჯობია, ვიდრე რევიზიონისტული სახელმწიფო. ამ თვალსაზრისით, რუსეთის გათანამედროვება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებშია, რადგან ჩვენ მეზობლები ვართ და საერთო ენის გამონახვა, ადრე თუ გვიან, მაინც მოგვიწევს.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოს შიდაპოლიტიკაში არსებულ მიმდინარე პროცესებს და რისი მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?**

— ჩვენ გლობალიზებულ მსოფლიოში ვცხოვრობთ. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში განვითარებული პროცესები გარკვეულწილად ჩვენზეც აისახება. ამიტომ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ მოდერნიზაციაზე დისკუსიები ჩვენს საზოგადოებაშიც არის საჭირო. რუსეთისა არ იყოს, ჩვენც ბევრი დრო დავკარგეთ, გასულ საუკუნეში მთლიანად მოვწყდით ცივილიზებულ სამყაროს.

ბევრი პრობლემა, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით, არის იმის შედეგიც, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არა აქვს ნათელი წარმოდგენა მოდერნიზაციის აუცილებლობაზე. ამიტომ, ამ თემის განხილვაში, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი უნდა ჩაერთოს. ეს მხოლოდ ხელისუფლების საქმე არ არის.

**— თქვენი აზრით, რამდენად არის მზად ხელისუფლება სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად და ქვეყანაში დემოკრატიზაციის გაღრმავებისათვის?**

— საქართველოს რესურსები შეზღუდულია. შეუძლებელია სწრაფად მოსახლეობის ცხოვრების დონის კარდინალური გაუმჯობესება, ეს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ხდებოდეს. ამასთანავე, სოციალური სამართლიანობისა და უსამართლობის განცდა საქართველოში ძალიან ძლიერია. ამიტომ, მოსახლეობა უნდა ხედავდეს, რომ საერთო გაჭირვება ხელისუფლებასაც ეხება და ემჩნევა.

**კობა ბენდელიანი**

# საქართველოს მოდერნიზაციაზე ფართო დისკუსიები ჩვენს საზოგადოებაშიც აუცილებელია

ინფორმაცია

## წაადგება ჩვენს ენერგეტიკას ყატარული ინვესტიციები

როგორც გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, ყატარელი ბიზნესმენები საქართველოს ბიზნესკლიმატით არიან დაინტერესებულნი.

— შესაძლოა ყატარელმა ბიზნესმენებმა ენერგეტიკის სფეროში რამდენიმე პროექტი განახორციელოს. ძალიან საინტერესო ინვესტიციებზეა საუბარი. ყატარს მოსწონს ჩვენი საინვესტიციო კლიმატი და უკვე რამდენიმე წინადადებაც მოგვაწოდეს, — განმარტა კალანდაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხებზე მხარეები ყატარში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში იმსჯელებენ, რომელიც 20-21 თებერვალსაა ჩანიშნული. დელეგაციას უწყების ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე უხელმძღვანელებს. ოფიციალური ინფორმაციით, საინვესტიციო პროექტებზე შეთანხმების გარდა, მხარეები რამდენიმე „საერთაშორისო ხელშეკრულების" გაფორმებასაც გეგმავენ.

აღსანიშნავია, რომ ეს იქნება ყატარში საქართველოს საგარეო უწყების დელეგაციის პირველი ვიზიტი.

## ეკონომიკური მაჩვენებლით ჩინეთი მეორე ადგილზეა

მსოფლიოში ეკონომიკური მაჩვენებლით მეორე ქვეყანა ჩინეთი გახდა. მან მეორე ადგილი იაპონიას წაართვა. 2010 წლის ბოლოს იაპონიის ეკონომიკურმა მაჩვენებელმა 5.474 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა, ხოლო ჩინეთისამ გასული წლის ბოლოს — 5.8 ტრილიონი ამერიკული დოლარი.

იაპონიაში ექსპორტი და სამომხმარებლო მოთხოვნა შემცირდა. ჩინეთის ეკონომიკური მდგომარეობა საწარმოო ბრუნვით გაუმჯობესდა.

როგორც ეკონომიკური ექსპერტები ამბობენ, თუ ჩინეთმა ამ ტემპით გააგრძელა ეკონომიკის ზრდა, სულ მალე შესაძლოა ყველაზე ძლიერ და დიდი ღირებულის ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გაუსწროს ათწლეულში.

ჯი-ეიჩ-ენი

**გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა!**

# ლევან რამიშვილმა და კახა ბენდუქიძემ ახალი პოლიტიკური გაერთიანება „ნაციონალ-ლიბერალური პარტია“ შექმნეს!



**„თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ლევან რამიშვილმა და ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ახალი პარტია შექმნეს.**

„პირველის“ ინფორმაციით, სააკაშვილის ხელისუფლების „რუხ კარდინალად“ ცნობილი ლევან რამიშვილისა და „ეკონომიკის მამის“ კახა ბენდუქიძის ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომლის დასახელებაც „ნაციონალ-ლიბერალური პარტიაა“, სააკაშვილის ხელისუფლების რადიკალური ფრთის, ბოკერია-უგულავას სახელისუფლო გუნდის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გაერთიანდნენ.

პარტია 2010 წლის ნოემბერში დარეგისტრირდა. „პირველის“ ინფორმაციით, პარტიის პრეზენტაცია 2010 წლის 15 დეკემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო, გადაიდო.

აღნიშნულთან დაკავშირებით „პირველი“ კახა ბენდუქიძეს დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნულ ინფორმაციას „ანეკდოტი“ უწოდა.

„კვირა დღეს ანეკდოტებს ნუ მიყვებით“, – განაცხადა ბენდუქიძემ.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია სახელისუფლო გუნდში არსებული ორი ძლიერი დაჯგუფებისა და მათი დაპირისპირების შესახებ რამდენიმე თვის წინათ გაჩნდა, თუმცა სახელისუფლო კედლებს მხოლოდ ახლა გამოსცდა. როგორც პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, საქართველოში პოსტსააკაშვილისეული ეპოქა დადგა და ამ ეპოქისთვის მზადება ყველაზე ადრე სწორედ სახელისუფლო ორბიტის წარმომადგენლებმა დაიწყეს.

ორი სახელისუფლო ბანაკი უკვე სახეზეა – ბაქრაძე-მერაბიშვილი-ადეიშვილისა და ბოკერია-უგულავა-რამიშვილი-ბენდუქიძე-ბურჯანაძის პოლიტიკური ბანაკების სახით. თუმცა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრები მესამე დაჯგუფებაზეც აქტიურად ალაპარაკდნენ.

„ეს უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის ხაზია, რამდენიმე გავლენიანი ჩინოვნიკი და საპრეზიდენტო ოჯახთან ძალიან დაახლოებული ბიზნესმენები, რომელთა ფინანსური კაპიტალი განუზომლად დიდია“, – აცხადებენ ისინი.

„მესამე ბანაკის“ წევრთა ვინაობა ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, თუმცა მათი გამოცნობა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების, ექსპერტებისა და პოლიტოლოგებისათვის ძნელი არ უნდა იყოს.

**ვარაუდი**

# რაკეტსაწინააღმდეგო რადარი, ანუ საქართველო კვლავ ტორეადორის წითელი ნაჭრის როლში



ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა იდეას რაკეტსაწინააღმდეგო რადარის საქართველოში შესაძლო განთავსების თაობაზე, ქართული საზოგადოების ნაწილი აღფრთოვანებით და ერთგვარი ნიშნისმოგებითაც კი შეხვდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, ახლაც მთავარი აქცენტი ემოციურ მომენტებზეა გაკეთებული და არავინ ფიქრობს სინამდვილეში რა შეიძლება მოყვეს ასეთ „აღფრთოვანებას“.

დიახ, მხოლოდ აღფრთოვანებას, რადგან რეალურად ამ სისტემის საქართველოში განლაგებას, რა თქმა უნდა, არავინ აპირებს. საკმარისია ითქვას, რომ იგივე წყარო, რომელმაც ეს ინფორმაცია თავდაპირველად გაავრცელა, იქვე დასძენს, რომ ამ ვარიანტის განხორციელების შანსი „წარმოუდგენლად დაბალიაო“. ვისაც დიპლომატიური ტერმინოლოგია ოდნავ მაინც ესმის, მისთვის ადვილი გასაგებია, რომ დიდ პოლიტიკაში ასე ლაპარაკობენ ისეთ საკითხებზე, რაც არსებითად გამორიცხულია. რეალურად, საქართველოში არავინ განალაგებს ამხელა მნიშვნელობის ობიექტს და ეს მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც მშვენივრად იციან. არ განალაგებენ თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ეს იქნება ღია და აშკარა გამოწვევა რუსეთისა, რაც ამ ეტაპზე ნამდვილად არ შედის დასავლეთის ინტერესებში.

ჯერჯერობით უცნობია საერთოდ რა მიზანს ისახავს ასეთი არარეალური „ინიციატივით“ გამოსვლა რესპუბლიკელების მხრიდან: შეიძლება ეს იყოს თურქეთზე ზემოქმედების მცდელობა, რომ ამ უკანასკნელმა გააცნობიეროს ბოლოს და ბოლოს, „ვინ უკვეთავს მუსიკას“ და შეკვეცოს თავისი პირობები, ან თვით ამერიკის მმართველი წრეების შიდა სამზარეულოს დეტალები, მაგრამ ერთი რამ უდაოა: საქართველო ამ შემთხვევაშიც წარმატებულად „ამაყობს და იმუქრება“ იმით, რაც რეალურად არ აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ სისტემის საქართველოში განლაგების შანსი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც საქართველოს ნატოში მიღების – ანუ ერთიც და მეორეც ძირითადად პოლიტიკური ვაჭრობისთვის განკუთვნილი რიტორიკაა დასავლეთის მხრიდან, რასაც არავითარი სარგებელი არ მოაქვს (რადგან ცარიელ სიტყვებს ჯერ არავისთვის მოუტანია სარგებელი), მაგრამ ამ რიტორიკით შესანიშნავად ხერხდება მეზობელი სახელმწიფოების „გაცოფება“ და საქართველოსთვის ყველა სხვა გზის მოჭრა, გარდა ალიანსთან უთანასწორო „თანამშრომლობისა“ – ბუნებრივია, თუკი ყველა სხვა გზა მოჭრილი გაქვს, იძულებული იქნები იმ უთანასწორო პირობებზეც დათანხმდე, რასაც დღეს ალიანსი გვთავაზობს (ერთი მაგალითი: ჩვენ ვიბრძვით მათ ომებში, ისინი ჩვენი ომის დროს „შფოთავენ“ და ა.შ.).

ასეთ პირობებში, როცა დასავლეთს „ყურებით ყავს დაჭერილი“ საქართველო, ბუნებრივია მათ ინტერესებში არ შედის ჩვენი სრულფასოვანი ინკორპორირება ევროატლანტიკურ სისტემაში, რადგან მაშინ არა მარტო უფლებები, არამედ გარკვეული მოვალეობებიც ექნებათ ჩვენს მიმართ, რაც აშკარად წამგებიანია მათთვის დღევანდელ პირობებთან შედარებით, როცა მოთხოვნით წევრ ქვეყნებზე მეტს გვთხოვენ და მხოლოდ მოვალეობების კონტექსტში „ახსენდებათ“, რომ ჩვენ ნატოს წევრი არ ვართ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მოდით, მაინც წარმოვიდგინოთ და განვიხილოთ საქართველოში ზემოთ ხსენებული სიტემის დაყენების სცენარი. დავუშვათ ეს მართლაც მოხდა, რას უნდა ველოდოთ ამისგან?

ფაქტია, რომ ამერიკა არ დაიწყებს მესამე მსოფლიო ომს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და არც საქართველოს მისცემს უფლებას თავად გამოიყენოს ეს სისტემა, თუ ეს უკანასკნელი საკუთარი ინიციატივით და ძალებით მოინდომებს ამას. თავის მხრივ რუსეთი ისედაც არ აპირებს მოახდინოს საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ანექსია. ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერებას რუსეთთან მიმართებაში მხოლოდ პროპაგანდისტული მიზანი შეიძლება ქონდეს, რასაც თავის მხრივ რუსეთის ხელისუფლება აქტიურად იყენებს საკუთარი მოსახლეობის თვალში საქართველოსგან „მტრის ხატის“ შესაქმნელად, აქედან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით.

მაგრამ დასავლეთის არასრულფასოვანი მოკავშირის როლში ყოფნას აქვს კიდევ უფრო საშიში მხარე, ვიდრე მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებაა. დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტა, სამწუხაროდ, მხოლოდ სამ სახელმწიფოს ამჩნევს დედამიწაზე და „სტრატეგიასაც“ ამ მოცემულობიდან იმუშავებს, თუმცა დედამიწაზე რუსეთის, საქართველოს და ამერიკის გარდა არიან სხვა სახელმწიფოებიც და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს ჩვენი „ელიტისთვის“, ისინი დღითი დღე სულ უფრო და უფრო ანგარიშგასაწევ მოთამაშეებად ყალიბდებიან.

„უპირობო აღფრთოვანება“ ყველაფრით, რასაც დასავლეთი (სიტყვიერადძ გვთავაზობს, უკიდურესად გააღიზიანებს ასევე ირანის ისლამურ რესპუბლიკას, რომლის გასანეიტრალებლადაც იქმნება ოფიციალურად ეს „ფარები“. დღეს არავინ იცის მართლა მოხდება თუ არა ამერიკა-ირანის სამხედრო შეჯახება, მაგრამ თუ მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდა, მაშინ ირანისთვის ნომერ პირველი სამიზნე სწორედ საქართველო იქნება და თუ რა ზიანი შეუძლია პირდაპირი სამხედრო შეტაკების შემთხვევაში ირანმა მიაყენოს საქართველოს, ამის წარმოდგენა სულაც არ არის ძნელი.

ირანის გაღიზიანებით ჩვენ მტრად ვიკიდებთ უზარმაზარ და რელიგიური იდეოლოგიით შეიარაღებულ სახელმწიფოს, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება და რომელიც არათუ საქართველოსთან, არამედ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც კი არ ერიდება პირდაპირ კონფრონტაციას. ამასთანვე, რაც ყველაზე მეტად დამამცირებელია, ამას ვაკეთებთ იმ ქვეყნის ერთ-ერთი პოლიტიკური გუნდის გულის მოსაგებად, რომლის მხარდაჭერაც ჩვენს მიმართ ჯერჯერობით „აღშფოთება-შეშფოთებას“ არ გასცილებია.

რეალურად, ჩვენთვის სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს იგივე ჩვენი სამხრეთ-დასავლელი მეზობლის, თურქეთის პოლიტიკა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია და შესაბამისად ჩვენთან შედარებით განუზომლად მეტ სარგებელს ნახულობს ამ ორგანიზაციისგან, არასდროს აძლევს უფლებას დასავლელ პარტნიორებს მისი ტერიტორია გამოიყენონ მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. ეს კარგად გამოჩნდა არა მარტო ერაყის კამპანიის, არამედ აგვისტოს კონფლიქტის დროსაც. ეს კარგად ჩანს დღესაც, როცა თურქეთი იმდენ წინაპირობას უყენებს პარტნიორებს ამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საკუთარ ტერიტორიაზე განთავსების სანაცვლოდ, რომ დასავლეთისთვის ამ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში ეს სისტემა ყოველგვარ აზრს დაკარგავს, რადგან ამ შემთხვევაში ამ ყველაფერს არა ვაშინგტონი ან ბრიუსელი, არამედ ერთმნიშვნელოვნად ანკარა გააკონტროლებს.

ჩვენ დღეს ვაცხადებთ, რომ თურქეთი ჩვენი მოკავშირე და „ისტორიული მეგობარია“, თუ ეს ასეა, მაშინ მოკავშირისა და მეგობრისგან სასურველია ისწავლო და გადმოიღო ყველაფერი საუკეთესო, რაც მას აქვს. ერთ-ერთი საუკეთესო, რაც თურქულ-ოსმალურმა სახელმწიფომ ისტორიულად გამოიმუშავა, არის უაღრესად დახვეწილი და პროფესიონალური დიპლომატია, რამაც გადაარჩინა ეს ქვეყანა საბოლოო დანაწევრებას მისთვის ყველაზე რთულ ისტორიულ მომენტებში. ამ დიპლომატიას თურქეთი წარმატებით იყენებს დღესაც და ეს ვლინდება პირველ რიგში სწორედ მეზობელ სახელმწიფოებსა და მოკავშირეებს შორის უზუსტესი ბალანსის დაცვით.

თურქეთი მეზობლების გაღიზიანებას ერიდება არა იმიტომ, რომ განსაკუთრებით სიამოვნებს რეგიონში სხვა ქვეყნების გაძლიერება, ან იმიტომ, რომ იდეალური ურთიერთობა აქვს მათთან, რა თქმა უნდა, არა, იგი ამას აკეთებს იმიტომ, რომ ზედმიწევნით კარგად ფლობს უძველეს აღმოსავლურ დიპლომატიას და იცის, რომ კავშირები და ალიანსები მუდმივი არაა, ხოლო გეოგრაფია მუდმივია, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკავშირეები ისტორიის მანძილზე იცვლებიან, მეზობლები – თითქმის არასდროს ან ძალიან იშვიათად. ვერავინ შეცვლის ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას სივრცეში მაშინ, როცა პოლიტიკის შეცვლა ნებისმიერ დროს შეიძლება, ამიტომაც ჭკვიანი დიპლომატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველ რიგში სწორედ მეზობლებთან ურთიერთობას და მათთან საერთო ენის გამონახვას.

ამ ყველაფრის საპირისპიროდ კი ჩვენი საგარეო და სამეზობლო კურსი მთელი 20 წლის მანძილზე დამყარებული იყო და არის, ხალხურად რომ ვთქვათ, მეზობლებთან ნაჩხუბარი კაცის ემოციაზე, რომელსაც ამ მეზობლებთან „ურთიერთობის გასარკვევად“ შორეული ქალაქიდან ასევე შორეული „მეგობარი“ მოყავს, მაგრამ ეს „მეგობარი“ ჩვენს შემთხვევაში სრულებით არ მოქმედებს უანგაროდ და იმის ნაცვლად, რომ ერთი მეზობლისგან დაგვიცვას, მეორეს გვამტერებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ, რომელთანაც მას უკვე საკუთარი „ანგარიშები“ აქვს.

განა ძნელი წარმოსადგენია, რა დაემართება ასეთ ადამიანს, როცა ის „მეგობარი“ სახლში დაბრუნდება ან ელემენტარულად მობეზრდება ეს ყველაფერი? განა ერთხელ და ორჯერ შეუტოვებია „პატარა ერი“ გამძვინვარებული მტრისთვის დიდ, „კეთილ მოკავშირეს“ და განა ამის მაგალითები საკუთარ ან იგივე მეზობელი ხალხების ისტორიაში არ შეგვიძლია მოვიძიოთ?

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკამ კავკასიაში საკუთარი ინტერესები დათმო (ან დაათმობინესძ, რაც სრულებით შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ხომ საქართველო აბსოლუტურად მარტო და დაუცველი აღმოჩნდება ორ უზარმაზარ და მტრულად განწყობილ ქვეყანას შორის, რომლებსაც ყველა საშუალება აქვთ საბოლოო წერტილი დაუსვან ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ისტორიაში უამრავი მაგალითია, თუ როგორ მთავრდება ასეთი სახიფათო თამაშები. სწორედ ასეთ სიტუაციაში შეიძლება აღმოვჩნდეთ, თუკი არ ვისწავლით იმას, რომ გაბრაზების მიუხედავად არ შეიძლება უშუალო სამეზობლოში ყველას და ყველაფრის, უკაცრავად და, ფეხებზე დაკიდება შორეული მოკავშირის გამო, რომლისთვისაც ჩვენი ქვეყანა ხშირად მხოლოდ წითელი ნაჭერია, რომელსაც ტორეადორი გამძვინვარებული ხარის წინ აფრიალებს.

**ზვიად ავალიანი**

# მე არასოდეს ვყოფილვარ თქვენი პოლიტიკური მხარდამჭერი, მაგრამ საქართველო ყველა პოლიტიკაზე მაღლა დგას და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ ან ერთად წავალთ წინ, ან ორმოში ჩავარდნა გარდაუვალია

## უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის სიტყვა პარლამენტის სხდომაზე 2011 წლის 11 თებერვალს

ლიდერის მთავარი თვისება როგორც ხელისუფლებაში მოსვლის, ასევე წასვლისას დროის შეგრძნებაა. ამ გრძნობის დაკარგვას მოაქვს ისეთი მოვლენები, რასაც ამ წუთებში მთელი მსოფლიო შეშფოთებით ადევნებს თვალს.

მე არასოდეს ვყოფილვარ თქვენი პოლიტიკური მხარდამჭერი, ჩვენს ოპონირებას, ჩვენი ასაკის მიუხედავად, დიდი ხნის ისტორია აქვს. ერთხელ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, როცა ერთ ჩემს მეგობარს ვეკამათებოდი თქვენს მიერ არჩეული პოლიტიკური მეთოდების გამო, მან მიპასუხა: მე მომწონს სააკაშვილი, რადგან ჩახუთულ შენობაში ფანჯრებს ამტვრევს და სუფთა ჰაერს უშვებსო! 2 წლის შემდეგ, ამავე მეგობარს განწყობა ცოტა შეეცვალა და მითხრა, მგონი ფანჯრებიდან კედლების ნგრევაზე გადავიდა და ეს კი ცოტა მაშფოთებსო და სულ ახლახანს, ახალი წლის სუფრაზე გაგრძელებული კამათისას გამომიტყდა: — მგონი კვლავ სუფთა ჰაერის პრობლემაა და ეს კი ძალიან აღარ მომწონსო.

მე არასოდეს ვყოფილვარ თქვენი პოლიტიკური მხარდამჭერი, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ თქვენ დგახართ გამოწვევების წინაშე, როგორც დგას ორმოს წინაშე მათეს სახარებისეული ბრმა, რომელიც თავისნაირ ბრმებს წინაუძღვის. თქვენ გარშემო კი აღარავინ დაგრჩათ, ვინც თვალს აგიხელთ.

ამიტომ დღეს კიდევ ერთხელ გადავწყვიტე გითხრათ ის, რაც აქამდეც, საჯაროდ თუ პირადად არაერთხელ მითქვამს: ჩვენი საერთო ამოცანაა ისეთი პოლიტიკური სისტემისა და გარემოს შექმნა, სადაც არჩევნების გზით ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა შესაძლებელი იქნება. ეს მნიშვნელოვანია თქვენთვისაც: კონკურენციის შეგრძნების გარეშე თქვენი პოლიტიკური ძალა პოლიტიკური ხრწნისა და გადაგვარებისთვისაა განწირული. არადა, მომკალით, მაგრამ მიჭირს იმის დაჯერება, რომ თქვენი პოლიტიკური კარიერის გარიჟრაჟზე „ჭაობის მეფობა“ ყოფილიყო თქვენი სანუკვარი ოცნება. ან თქვენ პროფესიონალ პრეზიდენტად, ანუ ყველას პრეზიდენტად ჩამოყალიბდებით, ხელს თუ არ შეუწყობთ, არ შეუშლით მაინც თითქმის ერთ ადგილზე გაყინული პოლიტიკური პროცესის ჯანსაღად განვითარებას, ან დარჩებით ნაციონალების ლიდერად და ძალაუფლების შენარჩუნებას გაიხდით მთავარ ღირებულებად. შესაბამისად ან ამ ქვეყანაში პროფესიონალ რევოლუციონერებს და გადამტრიალებელ ავანტიურისტებს დარჩებათ ბურთი და მოედანი, ან ხალხის არჩეული პროფესიონალი პოლიტიკოსები აიღებენ საქართველოს მომავალზე პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობას, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ჯერ კიდევ რეზო თაბუკაშვილის მიერ ასე მარტივად და ნათლად ჩამოყალიბებულ ფორმულაშია: პატრიოტიზმი კი არ არის პროფესია, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი.

ეს ფორმულა ორმხრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს, საქართველოში ჯერ არ შემდგარა პრეცედენტი, როცა ხელისუფლების ცვლილება მმართველი პოლიტიკური და მასთან დაახლოებული ბიზნესელიტების სრულ განადგურებას არ იწვევდა. ჩვენ უნდა ავილოთ ამ მანკიერი და ქვეყნის დამანგრეველი ტრადიციის შეცვლის პასუხისმგებლობა და ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ საქართველო პოლიტიკური ბარბაროსობის ხანიდან გამოდის და განსხვავებული ხედვის მქონე ძალების თანაცხოვრების ეპოქას იწყებს. ჩემი აზრით ეს არის ის მთავარი გამოწვევა, რომელზე პასუხის გაცემაც, სურვილის შემთხვევაში, ნამდვილად შეგიძლიათ და რომელიც ამავე დროს მყარ საფუძველს ჩაუყრის ქართველი ერისთვის მიცემული დაპირების მომავალში შესრულებას: ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას, მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას, ეკონომიკურ წინსვლასა და ბოლოს — საქართველოს გამთლიანებას.

**მე წლების მანძილზე პირადად გთავაზობდით ეკონომიკის სტიმულირებისა და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი 3 ნაბიჯის გადადგმას. ეს იყო: საგადასახადო წნეხის შემცირება, სასამართლო სისტემის რეფორმირება და მონოპოლიების შეზღუდვა. მაგრამ, ამის ნაცვლად, თქვენ წამოიწყეთ უტოპიური პროექტები, რომლებიც მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ჩავარდა: „ანტიკრიზისული პროგრამა“; „ეკონომიკის სტიმულირების პროგრამა“; „დასაქმების პროგრამა“; „50-დღიანი პროგრამა“; „100-დღიანი პროგრამა“; 50-თვიანი პროგრამა“; „იაფი დაზღვევის პროგრამა“; „იაფი კრედიტის პროგრამა“; „100 საავადმყოფოს პროგრამა“; „100 საწარმოს პროგრამა“.**

მე მუდმივად შეგახსენებდით, რომ ბიზნესი უნდა გაგვეთავისუფლებინათ სახელმწიფო აპარატის მარწუხებისაგან და ერთადერთხელ მივიღე თქვენი პოზიტიური გამოხმაურება. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი შექახილის ექო იყო და დღემდე ამას შედეგი არ მოჰყოლია. მე გეუბნებოდით, რომ როცა ბიზნესს ვსჯით, მარტო ბიზნესი არ ზარალდება. ზარალდება საზოგადოება, იკლებს სამუშაო ადგილები, მცირდება გადახდისუნარიანობა, საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედებს. თქვენ ლოპოტას ტბასთან გამართულ მთავრობის ცნობილ სხდომაზეც მიეცით ბიზნესმენებს პირობა, რომ ფინანსთა სამინისტრო დაჯარიმების საკითხს ფრთხილად მიუდგებოდა, თუმცა მას შემდეგ ერთი წელი გავიდა და საქართველოში არ არსებობს მეწარმე, სოლიდურ ჯარიმებს არ იხდიდეს, „ჯეოსელით“ დაწყებული და ლილოს ბაზრობაზე წინდების გამყიდველით დამთავრებული. მე გთავაზობდით კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს აღდგენას, მაგრამ ეს საკითხი არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. სამუშაო ადგილებს ყველა ქვეყანაში უმეტესად მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის, არა დიდ, არამედ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს განსაკუთრებული სოციალური დატვირთვა, არადა ეს ნაწილი ყველაზე მეტად იჩაგრება. ერთადერთი სფერო, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესს მთელი სივრცე ეკავა და ათასობით ადამიანს ასაქმებდა, იყო სამარშრუტო ტაქსები, საიდანაც ისინი მთლიანად განიდევნენ. თუმცა რა ბიზნესის ხელშეწყობაზეა საუბარი, როცა ფინანსთა მინისტრმა 31 დეკემბერს ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც მეორე დღესვე, ანუ 1 იანვარს შედიოდა ძალაში და რომელიც საგრძნობლად ართულებს ბიზნეს-საქმიანობას ზედნადებების მექანიზმით. რანაირად შეიძლება ეწოდოს ამას სტაბილური, მით უფრო პროგნოზირებადი გარემო და ბიზნესისთვის გამარტივებული წესები, გაუგებარია. არადა სწორედ დაცულმა, თავის თავში დარწმუნებულმა, არა თვითგადარჩენის, არამედ მომავალზე ორიენტირებულმა ბიზნესმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, განავითაროს საშუალო ფენა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობას.

უცხოეთში ვხვდები ქართულ დიასპორებს, ფეისბუკის მეშვეობით დღესაც დამიკავშირდნენ ქართველი ემიგრანტები, რომლებიც მწერენ იმ პრობლემებზე, რომლებსაც საკუთარი სამშობლო მათ საზღვარზე უქმნის. ჩვენი საფინანსო პოლიტიკის მსახვრალი ხელი უცხოეთშიც არ აძლევს მათ მოსვენებას. რა პასუხი გავცე ხათუნა ბელთაძეს, რომელიც თურქეთიდან მწერს, „გვიშველეთ რამე, თორემ ჩანთებს და პირად ნივთებსაც კი გვართმევენ საბაჟოზეო.. ყველა კარს ვუხსნით უცხოელებს და ყველა სასუნთქს ვუკეტავთ ქართველებს, რომლებიც ხშირად მძიმე და დამამცირებელი შრომით მოიპოვებენ ლუკმაპურს ოჯახის წევრებისთვის და არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეაქვთ ქართულ ეკონომიკაში.

ვოცნებობთ ქართველი ერის გამრავლებაზე და ამავე დროს ყოველ ახალდაბადებულს ანგარიშზე 2500 ლარის ვალი ხვდება და ამ მხრივ უკვე ჩვენივე რეკორდი მოვხსენით. რაც უფრო მეტს გააჭიანურებთ ჩვენი წინადადებების გათვალისწინებას ინფლაციასთან და ვალებთან დაკავშირებით, მით უფრო გრძელი იქნება ანგარიში, რომლის გასტუმრებაც ჩვენ შვილებს მოუწევთ. უკვე 2013 წელს ჩვენი მთავრობა მხოლოდ ვალების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან გადაიხდის იმაზე მეტ თანხას, ვიდრე განათლების მთელ სიტემაზე, ჯანდაცვასა და მართალწესრიგის დაცვაზე — ერთად აღებული. დღეს ვალების მომსახურებას ბიუჯეტის 4% ხმარდება, 2013 წელს ეს ციფრი 6-ჯერ გაიზრდება და 25% გახდება.

გახსოვთ ჩვენი დისკუსია ენერგომატარებლებზე ტარიფების გაიაფების თაობაზე. მე არაერთხელ მოგიწოდებდით იმ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისკენ, რაც საშუალებას მოგვცემდა მყისიერი ეფექტისთვის მიგვეღწია კომუნალური გადასახადების გაიაფების მიმართულებით, ხოლო 2 წელიწადში ეკონომიკაში გარღვევა მოგვეხდინა. ამის ნაცვლად, კომუნალური გადასახადები ერთ ქვითარში გააერთიანეთ და რომ არა ჩვენი საკონსტიტუციო სარჩელი, რომლის დაკმაყოფილების იმედიც მაქვს, ამ წნეხს ნამდვილად ვერ გადაიტანს ჩვენი მოსახლეობა. **მე მაგიდაზე დაგიდეთ ენერგოტარიფების გაიაფების პროგრამა, რომლითაც ჩიხიდან დავძრავდით სოციალურ კრიზისს, ბიძგს მივცემდით ქართული პროდუქციის წარმოებას და საფუძველს ჩავუყრიდით თვითკმარ სახელმწიფოს, მაგრამ თქვენ არ აღმოგაჩნდათ პოლიტიკური ნება, რომ დაგეწყოთ მისი განხორციელება.**

სიჯიუტით და სიბრმავით საკუთარ თავს დავმართეთ ყველაზე დიდი უბედურება — გავანადგურეთ სოფლის მეურნეობა. უცხოელი მეწარმე პროდუქტის საწარმოებლად თავისივე ქვეყნის ბანკებში კრედიტს 2-3%-ად იღებს, ქართველებისთვის კი 20%-იც კი საოცნებო და მიუწვდომელია. ამასთანავე, **მაგალითად თურქეთის მთავრობა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების სუბსიდირებასაც ახდენს. შედეგად, საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტს ადგილობრივი პროდუქცია კონკურენციას ვეღარ უწევს, აზრს კარგავს ქართული პროდუქტის წარმოება. მე 2 წელი ვცდილობდი დამერწმუნებინეთ, რომ საკრედიტო ხელმისაწვდომობა ხელისუფლების მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო, მაგრამ — უშედეგოდ!**

ბოლო მონაცემებით მიწების 60% დაუმუშავებელია. თქვენ ძალიან გიყვართ იმ წლებთან საკუთარი მიღწევების შედარება, როცა იყო ბნელი და უკუნი და სწორედ მაშინ, ანუ 1998 წელს საქართველოში მარცვლოვანი კულტურები ითესებოდა 415 ათას ჰექტარზე, 2009 წელს კი მისი მოცულობა თითქმის ორჯერ შემცირდა და 216 ათასი ჰექტარი შეადგინა. უფრო მეტიც, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით 1998 წელს ხორბალი დაითესა 144 ათას ჰექტარზე, 2009 წელს კი ეს მაჩვენებელი კატასტროფულად შემცირდა და ხორბალი მხოლოდ სამჯერ ნაკლებ ტერიტორიაზე — 57 ათას ჰექტარზე დაითესა. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეგვიძლია ჩინელების მომატებულ მადას დავაბრალოთ, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, ქართველი გლეხი, თოხისა და ბარის ამარად რომაა მიტოვებული: ზურაბ მასურაშვილმა, რომელსაც საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მცირე ფერმა ჰქონდა, წყლის არხების სისტემის გაუმართაობის გამო საკუთარი სიმინდის, ქერის და ხორბლის ნათესები ვერც ერთხელ ვერ მორწყა და 3 ჰექტარზე გაშენებული საზამთროს მოსავალიც დაელუპა. ახლა მასურაშვილების ოჯახი შიმშილობს და მათი ფერმაც თითქმის განადგურებულია. იმერელმა გლეხმა ავთო უჩაძემ, უმარტივესი კალკულაციით დამითვალა, რომ 1 ჰექტარზე მოსავლის მოყვანა 600 ლარი უჯდება, უკან კი 300 ლარის მოსავალს იწევს. რა უნდა ქნას მან?! ჩვენ ხომ ეს ქვეყანა უვარგისი გავხადეთ მისთვის, ეს მიწა გამოუსადეგარი გავხადეთ სოფლის მეურნეობისათვის. ამიტომაც გლეხმა სოფელი უნდა მიატოვოს და ქალაქში ჩამოვიდეს ლუკმაპურის საშოვნელად. რა უნდა ქნას ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში ჯიმშერ კაპანაძემ, თუ 1 ჰექტარზე ჰიბრიდული სიმინდის მოყვანა, რომელსაც მთავრობა პანაცეად ასაღებს, 2000 ლარი უჯდება, რასაც საწვავის გასამმაგებული ფასი და თითო გამგეობაზე გამოყოფილი თითო ეგრეთ წოდებული „მიშას ტრაქტორის“ ხარჯი ემატება. **ეს ის ჰიბრიდული თესლია, რომლის შესაძენად ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი გამოიყო, ხოლო დღეს გლეხს ერთ კილოს 17 ლარად აძლევთ. რა ქნას გლეხობამ, ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი თუ სოფლის მეურნეობაში არსებული უპატრონობის გამო, ქვეყანაში მთლიანად გაწყდა ღორი და ინდოეთიდან, ბრაზილიიდან და დომინიკიდან ვიღებთ ხორცს, თუ განადგურებულია სათესლე მეურნეობები და უცხოეთიდან შემოგვაქვს ძვირიანი თესლი, თუ საქართველოს სოფლის მეურნეობას სულ ჯამში ესაჭიროება დამატებით 2000 ტრაქტორი, ანუ 60 მილიონი დოლარი, მაგრამ ბრმების მთავრობას ურჩევნია ამ ფასად შუშის ხიდი ააგოს.** გლეხი დღეს უუფლებოა, მაგრამ თქვენი მთავრობის წევრებივით ბრმა კი არ არის და ზუსტად იცის, რომ ყველაზე დიდი პარაზიტი და სარეველა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათავეშია ჩაბუდებული. სარეველას და პარაზიტს კი ქართველი გლეხი დიდხანს არ ელოლიავება და თავის ცოლშვილს არ შეაჭმევინებს. ამიტომ, როცა თქვენს მთავრობაში ხედავთ კვეზერელს, მუდმივად უნდა გახსოვდეთ ის ორმო, რომლის პირასაც დგახართ!



ჩვენ ხშირად ვხდებით ილუზიონისტის ეფექტებით შეფუთული ყუთის მაყურებელი, მაგრამ როცა ყუთს გახსნი, ნახავ, რომ ყუთი ცარიელია, მაგალითად მითი ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და რიგში მდგარი ინვესტორების შესახებ: სინამდვილეში 2010 წელს საქართველომ სრული საინვესტიციო კრახი განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა დედამიწის გარშემო ფრენის საათების რაოდენობით ყველაზე დატვირთულ მფრინავებსაც გაუწევენ კონკურენციას, ინვესტიციებით, არათუ აზერბაიჯანს, სომხეთსაც ჩამოვრჩებით: გასული წლის ორ კვარტალში აზერბაიჯანში მილიარდნახევარი შევიდა, სომხეთში 300 მილიონი, ხოლო ჩვენთან მხოლოდ 273 მილიონი.

გეუბნებოდით, რომ არანორმალურია, როცა სილიკომანგანუმს ვაწარმოებთ, მაგრამ წარმოებისთვის მანგანუმს ჭიათურაში კი არ ვყიდულობთ, არამედ აფრიკიდან, გაბონიდან ჩამოგვაქვს. **არანორმალურია, როცა გაჩერებულია გუმბრის, ასკანის მაღაროები და საბადოები. როცა საქართველოში უმაღლესი ხარისხის თიხაა, ხოლო აგური თურქეთიდან შემოგვაქვს, როცა სკოლაში მანდატურის მინიმალური ხელფასი 500 ლარია, ხოლო მასწავლებლისა საშუალოდ — 200, როცა 10-ლარიანი ნამატი პენსიაზე სულ 60 მილიონი ლარი დაგვიჯდებოდა და 500 000 პენსიონერს დააკმაყოფილებდა, ხოლო მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებისთვის თითქმის ორჯერ მეტი — 100 მილიონი**

**ლარი გავიმეტეთ, ხოლო ყოვლად გამოუსადეგარი შუშის ხიდი – 80 მილიონი ლარი დაგვიჯდა.**

**მე მოგიწოდებდით, შეგეჩერებინათ ბიუჯეტის არაადეკვატური ფლანგვა და გთავაზობდით სამი კონკრეტული პროგრამის ხარჯზე მნიშვნელოვანი თანხების გამოთავისუფლებას. ესენია: ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობის თანხა მინიმუმ – 60 მილიონი ლარი, პროექტი „ჩემი პირველი კომპიუტერი“ – 32 მილიონი ლარი და ძალიან საეჭვო პროექტი ინგლისურენოვანი პირების საქართველოში დასაქმებისა - 10 მილიონი ლარი. დეფიციტური ბიუჯეტიდან გასაცემი ხარჯების დაზოგვით მნიშვნელოვნად შევაფერხებდით ფულის გაუფასურების და საბოლოო ჯამში ყოველდღიური ლუკმაპურისათვის ბრძოლაში განაწამები მოსახლეობის უფრო მეტად გაღატაკების პროცესს.**

აი ინფლაციას რაც შეეხება, მართლაც რეკორდსმენები ვართ. თქვენ მთელი გასული წელი ევროპის მთავრობებს ჩვენი გამოცდილების გასაზიარებლად ეპატიჟებოდით. ამას აკეთებდა იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის 4-მილიონნახევრიანი მოსახლეობიდან, მილიონ შვიდასსამოცი ათასი ლტოლვილის სტატუსის მაძიებელია. თანაც, გიკვირდათ ჯიუტად რატომ არ იზიარებენ ჩვენს მოპატიჟებასო, მართლაც დიდი გარჯა იყო საჭირო, რომ ფულის გაუფასურების მაჩვენებლით მიწისძვრისაგან მიწასთან გასწორებული ჰაიტისთვისაც კი გადაგვესწრო. დეფიციტური ბიუჯეტის დასაფინანსებლად, მიმოქცევაში არსებული ფულის ოდენობა ერთი წლის განმავლობაში 38%-ით გავზარდეთ, შედეგად – ინფლაციის დონით რეგიონში ყველას გავუსწარით, ჩვენი შორსმჭვრეტელი მთავრობის პროგნოზირებულ მაჩვენებელს ორჯერ გადავაჭარბეთ და იანვარში მივიღეთ 12,4%!!! რაც, პოპულარულ ენაზე რომ ავხსნათ შემდეგს ნიშნავს: პენსიონერები, რომელთა უმრავლესობის პენსიაც 70 ლარია, ასეთი ინფლაციის პირობებში ამ თანხით იმ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებისა და წამლების ნახევარს იყიდიან, რასაც 2008 წელს ყიდულობდნენ. კიდევ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: **ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ერთი ადამიანის საშუალო თვიური ხარჯი მინიმუმ 70%-ით გაიზარდა, „ვარდების ხელისუფლების“ ხელში ცხოვრება 70%-ით გაძვირდა. ხანდაზმულებზე სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი რომ ნაციონალური მოძრაობის „პრიორიტეტია“, ამაზე შემდეგი ციფრები მეტყველებს: სახელმწიფოს მიერ დაწესებული საარსებო მინიმუმი ერთ სულ მოსახლეზე 150 ლარამდეა, ანუ პენსიაზე ორჯერ მეტი.** ეს იმას ნიშნავს, რომ მთლად სასიკვდილოდ კი არ გავწირეთ ჩვენი პენსიონერები, უბრალოდ დღეგამოშვებით მოუწევთ საკვების მიღება, ორგანიზმი რომ არ გადაიტვირთოს ზედმეტი ცხიმებით. ეს ხომ ხანდაზმულებზე პასუხისმგებლობის მოხსნას ნიშნავს.

ან სადაა პასუხისმგებლობა მთავრობისა, რომელიც ერთი წლითაც კი ვერ იხედება წინ?! უკეთეს შემთხვევაში ეს ბრმების მთავრობა ხდება ხოლმე მეხანძრეების მთავრობა, რომელიც ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აფეთქებული ხანძრის ჩაქრობას ცდილობს. მაგალითად, **სანამ ხანძარი იფეთქებდა, ეკონომიკურ გუნდს რომ გაეთვალა და ვაუჩერების ნაცვლად 20 მილიონი ლარი ზაფხულში, ან თუნდაც სექტემბერში მეპურეებისა და ხორბლის იმპორტიორებისათვის იაფი კრედიტის სახით მიეცა, გუშინწინ პური კიდევ 10 თეთრით არ გაძვირდებოდა.** საერთოდ, რა სარგებლობა მოაქვს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როცა ბუნებაში არ არსებობს ეკონომიკის განვითარების რაიმე ხედვა. თქვენი აღიარება, რომ ინფლაციასა და ფასების ზრდაზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ გაქვთ, არის აღიარებითი ჩვენება იმისა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა საერთოდ არ გაგაჩნიათ.

მართალია, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში უკვე დიდ ორმოში ვართ, თუმცა რაღაცაში მაინც გვაქვს წინსვლა: თუ 2009 წელს პატიმართა რაოდენობით მსოფლიოში მესამე ადგილზე ვიყავით, 2010 წელს მეორეზე დავწინაურდით: – საქართველოში ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 540 პატიმარი გვყავს. შედარებისთვის: საშუალო ევროპული მაჩვენებელი 10-ჯერ ნაკლებია – 100 ათას მცხოვრებზე 50-60 პატიმარი.

რამდენიმე დღის წინათ, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, თვალის დაუხამხამებლად, 1 წლით ციხეში გაუშვა ლიახვის ხეობიდან დევნილი, 64 წლის მოქანდაკე ვალერიან ჭილაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა 35 ლარად ღირებული 1 ცალი ფიცრის მოპარვა. ამავე საქმეში პროკურატურა ვერანაირად ვერ ამტკიცებდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მათ ისიც კი ვერ მოახერხეს, დაედგინათ ვინ იყო მოპარული ფიცრის მესაკუთრე და დაზარალებულად დარაჯი სცნეს; პროკურატურამ არ ჩაატარა ექსპერტიზა და ისიც კი არ არის დადგენილი, ფიცრის რეალური ღირებულება 35 ლარია თუ კიდევ უფრო ნაკლები. ეს საქმე მხოლოდ ერთი მაგალითია ქართული სასამართლოების ყოველდღიური საქმიანობიდან. ეს არის თქვენი შეუწყნარებელი სისხლის სამართლის პოლიტიკის საუკეთესო ილუსტრაცია. ეს არის თქვენი „ლიბერალური“ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შედეგი. ამ კოდექსით, ყველა სიკეთესთან ერთად, დარღვეულია ევროკონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული მხარეთა თანასწორობის პრინციპი, პროკურორს აქვს გაცილებით მეტი უფლება, ვიდრე ადვოკატს. **ადვოკატთა ასოციაციამ დადო უაღრესად კვალიფიციური და მათი უცხოელი კოლეგების მიერ აღიარებული დასკვნა ახალ საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ არავის არც უფიქრია მისი განხილვა. ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ადვოკატები სასამართლოსაგან განიცდიან შევიწროებას, სადაც სასამართლო ადვოკატებს სხდომის ოქმებს უყალბებს, სადაც იდევნებიან და მტკიცებულებების გარეშე აკავებენ დამცველებს.**

მე გთავაზობდით სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირების კონკრეტულ ნაბიჯებს: უნდა შემწყდარიყო „მოსმენების“ პრაქტიკა სასამართლოებში და სასამართლოს თავმჯდომარეებს უნდა აკრძალვოდათ დანარჩენ მოსამართლეებთან საქმის შინაარსობრივ გარემოებებთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაცია; უნდა გადაგეხედათ მოსამართლეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებისათვის; უნდა გაგეთავისუფლებინათ იუსტიციის საბჭო ე.წ. „ელიტური მოსამართლეებისგან“ და ნებისმიერ მოსამართლეს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა დაეყენებინა საბჭოს წევრობის კანდიდატურა; უნდა შეცვლილიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი.

ამის სანაცვლოდ ჩვენ მივიღეთ სასამართლო, რომელიც, თითქმის ყველა საქმეში უპირობოდ ემხრობა პროკურატურისა და ადმინისტრაციული ორგანოების პოზიციებს, მაშინაც კი, როდესაც ეს პოზიცია სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონოა და ასევე უპირობოდ უარყოფს დაცვის მხარის პოზიციას და შუამდგომლობებს, მაშინაც კი, როდესაც სახეზე უეჭველი მტკიცებულებებია. უკვე რამდენიმე წელია, რაც გამამართლებელი განაჩენების ოდენობა სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოუდგენლად დაბალია საქართველოში და მათი ოდენობა 0,1%-ს არ აღემატება. აი ასე მივიღეთ ქვეყანა, რომლის ღერბზეც „ძალა ერთობაშია“ კი არა – „ძალა აღმართს ხნავს“ უნდა ეწეროს.

ეს ბრმად იმპორტირებული ჰიბრიდული დემოკრატია, გენმოდიფიცირებული მედია და ნახევარფაბრიკატი სასამართლო ჩვენც მოგვწამლავს და ჩვენი შვილებისთვისაც იქნება ზიანის მომტანი.

ამოვისუნთქე, როდესაც მოვისმინე სააკაშვილის გამოსვლა ევროპარლამენტის წინაშე და მივხვდი, როგორი შვებით ამოისუნთქავდნენ ევროპელები, როდესაც მოისმინეს, რომ ადამიანმა, რომელიც წლების მანძილზე ანთებული ასანთით დარბოდა დენთის კასრებს შორის, ეს ასანთი ჩააქრო. თუმცა ხანდახან მგონია ხოლმე, რომ ქუთაისის რესტორნებში რუსული სიმღერების აკრძალვით და სხვა ასეთი ჩეკისტური ღონისძიებებით ჩვენ თვითონ ვემსგავსებით პრიმიტიულ რეპტილიებს. მე ძალიან მაშფოთებს არათანამიმდევრულობა საგარეო პოლიტიკური ორიენტირების გამოკვეთაში. თითქოს ეს ორიენტირი ევროკავშირია, მაგრამ იმავდროულად თქვენ გულმოდგინეთ ავითარებთ სინგაპურიზაციის იდეას, რომლის პოლიტიკური მოდელიც ძალიან შორსაა ევროსტანდარტის დემოკრატიისაგან. მეტიც, თუ ამერიკა ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, აქაც სრული შეუსაბამობაა – ვაშინგტონი მხარს დაგვიჭერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში დასავლეთისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული მმართველობის მოდელი არ ჩამოყალიბდება და ეს გაირკვევა უკვე მიმდინარე წელს, იმ პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, რომელშიც 8 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა ჩვენი წინადადებები უკვე წარმოვადგინეთ. წარმატებაში კი ვგულისხმობ ქვეყანაში საარჩევნო გარემოს რადიკალურ ცვლილებას.

**რომ არ დამყაყდეს, ჭურჭელში წყლის ცვლა აუცილებელია, მაგრამ რა თქმა უნდა ისე, რომ ამ წყალს ბავშვი არ გადავაყოლოთ. რაც კარგია, შევინარჩუნოთ, რაც დასამთავრებელია, დავასრულოთ, სადაც შედეგი სავალალოა, გამოვასწოროთ... მხოლოდ ასე აშენდება ჩვენი ოცნების საქართველო, საქართველო, სადაც იქნება სოციალური და სამოქალაქო მშვიდობა, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა და არა გლადიატორების მუდმივი ბრძოლა, რომლისგანაც ჩვენი ქვეყანა სისხლისგან, სულისგან და იმედისგან იცლება..**

მე ვარ ქართველი, ყოველგვარი „მაშასადამეების“ გარეშე. მე არ მინდა, რომ საქართველო იყოს მხოლოდ ქართველებისთვის, მაგრამ მე მინდა, რომ ყველა ქართველი ვიყოთ საქართველოსთვის და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ შევქმნათ ქრისტიანულ ეთიკაზე, დემოკრატიულ პრინციპებსა და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფო, რომლის დევიზიც იქნება ღმერთი, სამშობლო და ადამიანი.

დავამთავრებ იმით, რითაც დავიწყე: მე არასოდეს ვყოფილვარ თქვენი პოლიტიკური მხარდამჭერი, მაგრამ საქართველო ყველა პოლიტიკაზე მაღლა დგას და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ ან ერთად წავალთ წინ, ან ორმოში ჩავარდნა გარდაუვალია. დროა საქმეს მივხედოთ, თამაში დამთავრებულია!

# პრეზიდენტის სავარძლიდან პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მორგება არ გამოგივათ. პირველ რიგში, ამას არ დაუშვებს ქართველი ხალხი



## დამოუკიდებელი დეპუტატის გიორგი ცაგარეიშვილის სიტყვა პარლამენტის სხდომაზე 2011 წლის 11 თებერვალს

**მოგესალმებით!**

ჩვენ ყველამ ერთად მოვისმინეთ თქვენი მორიგი გამოსვლა ვირტუალური მიღწევების და წარმატებების შესახებ. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია; კარგია, როცა ქვეყანა კრიმინალურ სამყაროსთან და საჯარო სამსახურში ქვედა დონეებზე კორუფციასთან ბრძოლაში წარმატებას აღწევს.

მაგრამ თქვენ არასდროს არ საუბრობთ სხვა, გაცილებით უფრო მძიმე რეალობაზე; არ საუბრობთ, რომ ყოველი მეორასე ჩვენი თანამოქალაქე პატიმარია; პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვით საქართველო მსოფლიოში მოწინავე ადგილზეა; საკუთრების უფლების დაცვით საქართველო 116 ადგილზეა, სასამართლოს დამოუკიდებლობით კი – 104-ზე.

სამწუხაროდ, ასეთი ნეგატიური მაჩვენებლები ბევრად მეტია, ვიდრე პოზიტიური და კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ თქვენი მმართველობის პირობებში დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლებისა თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ვითარება წლიდან წლამდე სულ უფრო უარესდება.

თქვენს ერთ-ერთ მთავარ „მიღწევად“ ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე იმყოფება. სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის მიზანმიმართულმა გაჩანაგებამ გამოიწვია, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობა ყიდულობს, უფრო სწორად კი ვეღარ ყიდულობს ჩინურ ნიორს 9 ლარად, თურქულ პომიდორს – 5 ლარად, სომხურ სტაფილოს – 2 ლარად.

რეალურ საქართველოში პური, რომელიც მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტია, დღითი დღე ძვირდება.

არადა, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველო თავის შიდა მოხმარების 35% აკმაყოფილებდა ადგილობრივი წარმოების ხორბლით. სწორედ თქვენი და თქვენი მთავრობის მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომ უმუშევრობა უკვე 40%-ზე მეტია, საგარეო ვალმა 4 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, საარსებო მინიმუმმა 150 ლარს მიაღწია, ინფლაცია 12%-ს გადასცდა, პენსია კი იგივე დარჩა.

იქნებ გვითხრათ: თქვენს ვირტუალურ საქართველოში არის თუ არა პენსია 100 დოლარის ეკვივალენტი და „საქართველო სიღარიბის გარეშე“?

ცოტა ხნის წინათ თქვენ საჯაროდ აღიარეთ, რომ ინფლაციურ პროცესებთან გამკლავება არ შეგიძლიათ, მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ინფლაციასთან ბრძოლის არც უნარი გაქვთ და არც პოლიტიკური ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2011 წლის ბიუჯეტი იქნებოდა ორიენტირებული არა ბიუროკრატიული აპარატის და პირადად თქვენი მრავალმილიონიანი ახირებების დაკმაყოფილებაზე, არამედ ჩვენი მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, მისი დაჩაგრული ნაწილის – დევნილებისა და ქვეყნის მთავარსარდლის პირადი ბრძანებით შეურაცხყოფილი გმირების – ჩვენი ვეტერანებისთვის ელემენტარული პირობების შექმნაზე.

თუ დაფიქრებულხართ თქვენ ან თქვენი ერთ-ერთი „წარმატებული“ მინისტრი იმაზე, თუ რამ აიძულა დევნილი ნანა ფიფია თავი დაეწვა დევნილთა სამინისტროს ეზოში?!

თუ გინანიათ ერთხელ მაინც თქვენი მმართველობის დროს ქუჩაში უდანაშაულოდ დახოცილი ახალგაზრდების გამო?

სამაგიეროდ სიამაყით გვიცხადებთ, რომ იმ მოდელირებული ქრონიკის ავტორი ბრძანდებით, რომელიც უკანონოდ მითვისებულ ტელევიზიაში გავიდა.

სამაგიეროდ თქვენ ყველაფერს აკეთებთ პირადი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ თქვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ხალხს თქვენი მოჩვენებითი მზრუნველობის აღარ სჯერა.

ყველაზე კარგად თქვენი ზრახვები კონსტიტუციის ახალი ცვლილებების მიღების დროს გამოჩნდა, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პრეზიდენტის სავარძლიდან პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მორგება არ გამოგივათ. პირველ რიგში, ამას არ დაუშვებს ქართველი ხალხი; ამას არ დავუშვებთ ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, და ამას არ მიიღებენ საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები.

ფაქტია, რომ თქვენ ვერ შეძლებთ თქვენი დანაპირების შესრულებას, თქვენი არათანამიმდევრული პოლიტიკის შედეგად, საქართველო დღეს, ისე როგორც არასდროს, შორს არის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისგან.

თქვენ ვერ აღადგენთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ვინაიდან თქვენ არ გაგაჩნიათ აფხაზ და ოს ძმებთან ნდობის აღდგენის რესურსი. თქვენ არ შეგწევთ ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობის ნორმალიზების უნარი.

მაგრამ თქვენ გაქვთ შანსი;

უკანასკნელი შანსი, წახვიდეთ პოლიტიკიდან ისე, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში ხელისუფლება შეიცვალოს მშვიდობიანი, დემოკრატიული არჩევნების გზით.

**იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ დაადგეს დემოკრატიული განვითარების გზას, ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები მოგიწოდებთ წინაპირობებით ლაპარაკის ნაცვლად, ხელი შეუწყოთ საარჩევნო გარემოს თვისობრივ ცვლილებას; გადადგათ არსებითი ნაბიჯები პოლიციის დეპოლიტიზაციის მიმართულებით; გაათავისუფლოთ სასამართლო საპროკურორო წნეხისგან, მისცეთ მედიას შესაძლებლობა დამოუკიდებლად გააშუქოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები; შეწყდეს ბიზნესის რეკეტი სახელმწიფოს მხრიდან და, რაც მთავარია, დასრულდეს ჩვენი მოქალაქეების დატერორება მათი განსხვავებული შეხედულებების გამო.**

გადადგით ეს ნაბიჯები, ჩაატარეთ დემოკრატიული არჩევნები და შეუწყვეთ ხელი ჩვენი ქვეყნის ისტორიული მიზნის განხორციელებას – ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

გმადლობთ!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიშამ ოპოზიცია გაასუტა

**გასული კვირის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა ქვეყნის პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით. უკანასკნელი წლებისგან განსხვავებით, როდესაც იგი არსებითად უგულებელყოფდა ოპოზიციის შენიშვნებსა და შეკითხვებს, ამჯერად პრეზიდენტს თავისი სიტყვა არ წაუყვანია მხოლოდ რევოუციის შემდგომი მიღწევების პიარისკენ, თუმცა არც უამისობა ყოფილა. სააკაშვილმა მხოლოდ ერთი კრიტიკული რეპლიკა დატოვა უყურადღებოდ, რომელიც შეეხებოდა შეკითხვას, თუ რამდენ ხანს აპირებს იგი საქართველოს ხელმძღვანელის პოსტზე ყოფნას?**

უხერხული შეკითხვა მისცეს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ აღიარეს, რომ სააკაშვილი „ადეკვატურად რეაგირებდა დებატებზე“ და არ აპირებდა ქვეყნის მიღწევებზე საუბარს, როგორც ეს კომუნისტურ ყრილობებზე ხდებოდა ხოლმე.

საკითხი, თუ რა იქნება 2013 წლის შემდეგ – დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. ოპოზიციის დიდი ნაწილი შეურიგდა იმას, რომ შეუძლებელია აიძულო სააკაშვილი – კიდევ ერთხელ ვადამდე და უკვე საბოლოოდ – დატოვოს საპრეზიდენტო უფლებამოსილებანი. ოპოზიცია ახლა თავის ამოცანას ხედავს იმაში, რომ არ დაუშვას იგი პრემიერ-მინისტრის პოსტზე. საქმე ის არის, რომ მომავალი პრეზიდენტის არჩევნები, კონსტიტუციის თანახმად, უნდა გაიმართოს 2013 წელს. ამ არჩევნებში სააკაშვილი, რომელიც უკვე ორჯერ ედგა სათავეში ქვეყანას, მონაწილეობას ვერ მიიღებს. მაგრამ შესწორებების თანახმად, რომლებიც შეიტანეს კონსტიტუციაში, 2013 წლისთვის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი არსებითად არის შეკვეცილი პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ, რომელიც ლამის მთავარი ფიგურა უნდა გახდეს საქართველოს პოლიტიკურ იერარქიაში. ამ თანამდებობაზე მუშაობისთვის კი სააკაშვილს არ გააჩნია არანაირი დაბრკოლებები.



საქართველოს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ მოუწოდა სახელმწიფოს მეთაურს არ დაუშვას საქართველოში „მუბარაკიზაცია“, ხელი შეუწყოს პატიოსანი საარჩევნო გარემოს შექმნას, რომელშიც ოპოზიციას არჩევნების გზით შეეძლება მოვიდეს ხელისუფლებაში. „წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკური ძალა დაიშლება“, – განაცხადა თარგამაძემ და მან შეკრებილთ შეახსენა ტუნისისა და ეგვიპტის შესახებ, სადაც „რეჟიმები ვერ გადაარჩინეს რევოლუციური პროცესებისგან, მიუხედავად ტურისტული სამოთხისა ამ ქვეყნებში და მათი მაღალი რეიტინგისა (რისკენაც ისწრაფვის საქართველოძ“.

როდესაც ამ თემას განიხილავდა, სააკაშვილმა მოიყვანა სინგაპურის მაგალითი. „ჩვენ ვლებულობთ დემოკრატიულ ფასეულობებს ევროპიდან, მაგრამ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად მაგალითს ვლებულობთ ეკონომიკურად განვითარებული სინგაპურიდან... ჩვენ არ ვიმყოფებით შვედეთსა და ნორვეგიას შორის და ამიტომ უნდა ვიქცეოდეთ უფრო ფრთხილად, ჩვენ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ღია და ასე განვავითაროთ ეკონომიკა. ამიტომ ჩემთვის ნიმუშია სინგაპური, და არა იმიტომ, როგორც ამას ოპოზიცია აცხადებს, რომ მე ვცდილობ დავამკვიდრო ავტორიტარიზმი“, – ხაზგასმით აღნიშნა სააკაშვილმა. პასუხის ნიმუშად შეკითხვაზე, რამდენ ხანს აპირებს იგი სახელმწიფოს სათავეში ყოფნას, შეიძლება გამოგვადგეს პრეზიდენტის ფრაზა იმის შესახებ, რომ „მის გუნდს სჭირდება ექვსი-შვიდი წელი ქვეყნის მოდერნიზაციისა და სრული დემოკრატიის უზრუნველყოფისთვის“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისთვის (2017-2018 წლებიძ დამთავრდება საქართველოს საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლის პროცესიც, ურომლისოდაც, სააკაშვილის აზრით, შეუძლებელი იქნებოდა განგვეხორციელებინა რეფორმები, რომლებიც ბევრი ქვეყნისთვის სანიმუშო გახდა.

ხოლო მისი პასუხები ოპოზიციის სხვადასხვა ბრალდებაზე უკვე გამოსვლის შემდეგ გახდა თავად ოპოზიციის „გამოაშკარავების სეანსი“. მასზე შეტევების დროს ვიწრო ელიტარული კორუფციის განმტკიცების შესახებ სააკაშვილმა ითხოვა დაესახელებინათ კონკრეტული მაგალითები ჩინოვნიკების გვარების მითითებით, შეახსენა, რომ თავად იგი, როდესაც იუსტიციის მინისტრი იყო ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, აწყობდა მის მაგიდაზე დოკუმენტების გროვას დამადასტურებელი მაგალითებითა და კონკრეტული პირების დასახელებით, რაც ცნობილი ხდებოდა მაშინ მთელი საქართველოსთვის. კორუფციონერების გვარი სხდომაზე არ დასახელებულა.

სააკაშვილის უკანასკნელმა გამოსვლამ პარლამენტში, გასული წლებისგან განსხვავებით, ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, გამოავლინა მისი დიდი მზადყოფნა უფრო დიდი გამოწვევებისთვის და სიტუაციის უფრო რაციონალური ხედვა, ვიდრე ამას ოპოზიცია აკეთებს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილმა სიტყვა ბანზე ააგდო

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა პარლამენტში ყოველწლიური მიმართვით, რომელსაც ამერიკული მანერის შესაბამისად „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ ეწოდება. თავისი სიტყვის დიდი ნაწილი საქართველოს ლიდერმა მიუძღვნა ეკონომიკასა და არსებით სოციალურ საკითხებს. ანალიტიკოსებმა ბატონი სააკაშვილის გამოსვლაში დაინახეს მითითებანი იმაზე, რომ იგი არ აპირებს თავისი პოლიტიკური კარიერის დასრულებას მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა დამთავრების შემდეგ 2013 წელს.**

პარლამენტარების წინაშე თავისი საათნახევრიანი გამოსვლის დროს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრაქტიკულად არ შეხებია საგარეო პოლიტიკის საკითხებს. მუდმივი თემაც კი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ ამჯერად მხოლოდ ირიბად იქნა მოხსენიებული.

გაცილებით მეტი ყურადღება ქართველმა ლიდერმა დაუთმო მწვავე სოციალურ პრობლემებს, ისაუბრა მთავრობის გეგმების შესახებ ქვეყნის მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების მოცულობის გადიდების შესახებ. კერძოდ, ბატონი სააკაშვილი დაგვპირდა, რომ დაახლოებით ერთი მილიონი ოჯახი უახლოეს პერიოდში მიიღებს ეგრეთ წოდებულ ვაუჩერებს ელექტროენერგიაზე, რომელიც 20 ლარის ეკვივალენტურია. ვაუჩერები დაურიგდებათ იმ ოჯახებს, რომლებიც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ხარჯავდა სულ ცოტა 200 კილოვატ ელექტროენერგიას. მათ კი, ვისაც ეს დახმარება არ სჭირდებათ, შეუძლიათ გადასცენ ვაუჩერები თავის ნაკლებად უზრუნველყოფილ ნათესავებს.

„საქართველოს მოდერნიზაციის პროექტის“ შესრულების მთავარ პირობად ბატონმა სააკაშვილმა დაასახელა ბრძოლის გაძლიერება კორუფციასთან და იმ პროცედურების გაიოლება, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებისა და საბაჟო გადასახადებთან. საქართველოს ხელისუფლების მეთაურმა ნიმუშად დაასახელა საბაჟო დეპარტამენტის 23 წლის თანამშრომლის მაგალითი, რომელმაც ექვს წუთში „დაამყარა რეკორდი და განაბაჟა რთული ტვირთი, გახდა ნიმუში სხვებისთვის“. დიდი წარმატებისთვის საბაჟოს ეს თანამშრომელი გოგონა პარასკევს მიიწვიეს საპატიო სტუმრების ლოჟაში საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ლიდერი ჩამოვიდა ტრიბუნიდან, დებატები მოსმენილთან დაკავშირებით დაიწყეს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა. მათ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას „ილუზია“ უწოდეს და ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ყველა პროგრამა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის პრეზიდენტმა დაუკავშირა 2015 წელს. ამ დროს, მორიგი პარლამენტის არჩევნები საქართველოში უნდა გაიმართოს 2012 წელს, პრეზიდენტისა კი – 2013 წელს. „როგორც ჩანს, ამრიგად მან გვაცნობა, რომ დარჩება პოლიტიკაში სხვა სახით პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ. მაგალითად, დაიკავებს პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს, ან თავისი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელმძღვანელის პოსტს“, – ვარაუდობს დამოუკიდებელი პოლიტოლოგი დავით ავალიშვილი. საქართველოს ოპოზიციამ უკვე მოსთხოვა ბატონ სააკაშვილს პირდაპირ განაცხადოს თავისი გეგმების შესახებ სამომავლოდ. სხვათა შორის, რეაქცია ამ მოთხოვნაზე მაინც არ მომხდარა.

ამ კვირაში ფასები გაიზარდა ბევრ პროდუქტზე. მკვეთრად გაძვირდა პურიც და არა მხოლოდ იგი, პირველი მოხმარების სხვა პროდუქტებიც: შაქარი, მცენარეული ზეთი, ბურღულეული, რძისა და ხორცის პროდუქტები, მედიკამენტები, სათბობი.

ფასები სასმელ წყალსა და ტრანსპორტზე გაიზარდა ჯერ კიდევ დეკემბერში. წყალი გაძვირდა 75 თეთრით – 2,40-დან 3,15- ლარამდე. ტრანსპორტი – 10 თეთრით.

თბილისის ბიუჯეტში 2011 წელს თითქმის ორჯერ – 14,8 ლარით – შემცირდა ტრანსპორტის სუბსიდირება, ხოლო კომუნალურ და საკომუნიკაციო მომსახურებაზე დაიხარჯება ერთ მილიონ ლარზე ნაკლები.

მერია აცხადებს, რომ სუბსიდიების შემცირება, ერთი მხრივ, არის სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ქამრის მოჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი ჩავარდნიდან საბოლოო გამოსვლისთვის, რაც წარმოიქმნა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, აგრეთვე გლობალური საფინანსო კრიზისის შედეგი. მეორე მხრივ, სიახლე მიზნად ისახავს სერვისის გაუმჯობესებას.

თბილისში დარეგისტრირებულია 103 ათასი გაჭირვებული ადამიანი, რომლებიც მერიისგან ღებულობენ სუბსიდიებს როგორც ტრანსპორტზე, ისე წყალზე (სულ ქალაქში, 2002 წლის აღწერის შესაბამისად, 1,1 მილიონი კაცი ცხოვრობსძ, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლებისა და არასამთავროზო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, იმათი ოდენობა, ვინც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლია დადგეს აღრიცხვაზე, გაცილებით უფრო მაღალია.

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ საცხოვრებელი მინიმუმი ერთ კაცზე ქვეყანაში აღწევს 150 ლარს (დაახლოებით 83 აშშ დოლარსძ, მაგრამ დამოუკიდებელ ექსპერტებსა და არასამთავროზო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ამაში დიდი ეჭვი შეაქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი იმყოფება.

ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია მოფიქრებული ეკონომიკური პოლიტიკა და გვაფრთხილებს მასობრივი სოციალური გამოსვლების შესახებ. ოპოზიცია ამზადებს ანტისამთავროზო გამოსვლების ახალ ტალღას, თუმცა მხოლოდ შემოდგომისთვის.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ოპოზიციური გაერთიანების „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა, ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კუკავამ აცნობა, „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ხალხი სასოწარკვეთილებამდეა მისული“. უახლოეს მომავალში არ არის გამორიცხული სოციალური ბუნტი. რად წარმოჩნდება ეს ბუნტი, ამის პროგნოზირება ძნელია“, – აღნიშნა მან.

ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „მოქალაქეების უმრავლესობა უბრალოდ შიმშილობს, დღითი დღე სიტუაცია უფრო და უფრო უარესდება“.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოება პრაქტიკულად ნულზეა. ქვეყანაში შემოაქვთ საკვები პროდუქტები უცხოეთიდან, რაც მეტად დაბალი ხარისხისაა. რისთვის სჭირდება საქართველოს იმავე კარტოფილის შემოტანა თურქეთიდან? იმისთვის, რომ ადგილობრივ ფერმერებსა და გლეხებს შეუქმნეს ისეთი პირობები, რომ მათთვის ეკონომიკურად არახელსაყრელია მოიყვანონ და გაყიდონ ეს კარტოფილი თავის საზიანოდ. და არა მხოლოდ კარტოფილი, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაც“, – აღნიშნავს ბერძენიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის უკანასკნელ გამოსვლაში პირდაპირ აღიარა, რომ არ შეუძლია იბრძოლოს ინფლაციასთან. თუმცა იგი კვლავ აფრქვევს ოპტიმიზმს.

სააკაშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ იმ მოქალაქეთა ოდენობა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ, შემცირდა 60 პროცენტით. ოპოზიციონერები ამას, უბრალოდ, საკუთარი ხალხის დაცინვას უწოდებენ.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**ტაილანდში ამერიკელებთან ერთობლივი სწავლების დროს ორი გამანადგურებელი შეეჯახა ერთმანეთს**

ინციდენტი მოხდა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში ერთობლივ ტაილანდ-ამერიკის მანევრებზე. ერთ-ერთი მათგანის ფ-16-ის ნამსხვრევები აღმოაჩინეს ტყეში, მაშველები ეძებენ პილოტებს – მიაჩნიათ, რომ ორივე მათგანი გადარჩა.

* * *

**ლავროვის მოლაპარაკება ლონდონში: მინისტრს ხოდორკოვსკის მშობლებმა დაასწრეს...**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დიდ ბრიტანეთში ჩადის ორი დღით ვიზიტით. გასამართლებული ბიზნესმენის ოჯახმა ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრს უილიამ ჰეიგს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხვენ მას დააყენოს საკითხი ადამიანის უფლების და კანონის უზენაესობის შესახებ პირადი შეხვედრის დროს.



* * *

**აშშ-ში წარმოადგინეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი თვითმფრინავი – ბოინგ 747-8**

მისი ტევადობა 467 მგზავრია, რაც 51-ით მეტია, ვიდრე ამჟამინდელი ბოინგ-747-ისა. ამ დროს ლაინერი ნაკლებ საწვავს ხარჯავს. ავიაკომპანიას უკვე შეუკვეთეს 33 მანქანა. 2010 წელს წარმოდგენილი იყო ბოინგ 747-8-ის სატვირთო ვერსია, მიღებულია 47 მანქანის შეკვეთა.



* * *

**სომალელმა მეკობრეებმა ხელში ჩაიგდეს მალტის დროშით მცურავი ხომალდი არაბეთის ზღვაში**

ეკიპაჟის წევრებს შორის 13 ირანელია, სხვადასხვა მონაცემებით 2-დან 10 – ინდოელი. მეკობრეები მათ თავს დაესხნენ ომანის სანაპიროდან 350 მილში. ხომალდი სინგაპურში მიდიოდა.



* * *

**ჰოსნი მუბარაქი მძიმე მდგომარეობაშია. შეიძლება ის კომაშია ჩავარდნილი**

მისი მახლობელი წრიდან გამოჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ერისადმი მნიშვნელოვანი მიმართვა მრავალგზის გადააკეთა მისმა შვილმა გამალმა, მისი სიტყვის ჩაწერის დროს კი მუბარაქმა რამდენჯერმე დაკარგა გრძნობა. არავითარი ოფიციალური დადასტურება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კაიროში ჯერჯერობით არ შემოსულა.

სიბინძურის ყულაბა

# ქებათა ქება პედერასტიას,

## ანუ „ლიტერატურული გაზეთის“ შეუსაბამო პოზა

## ნახევრად ღია წერილი რედაქტორ ირაკლი ჯავახაძეს

**სიახლეს რა სჯობს. სიახლისა თუ განახლების ყოვლის უფრო თვალადსაჩენ მაგალითს თავად ბუნება გვიჩვენებს არა მარტო ყოველდღე, არამედ ყოველწამიერად. განა რომელიმე მომდევნო დღე არსობრივად იმეორებს რომელსამე წინა დღეს?!**

როგორც ჩანს, ასე უნდა იყოს ყოველ საქმეში და, უწინარესად, ცხადია, მწერლობაშიც. ყველაფერს გაგება და შეჩვევა უნდა. გაგებასა და შეჩვევას კი დრო უნდა. მით უმეტეს, გაგებისა და შეჩვევის კულტურას, ანუ შეგუების კულტურას. სწორედ ამაზე წუხდა ამას წინათ **უიკენდელი „გულახდილი პუბლიცისტი“**, ნაცთა ხმანაზი რუპორი **ქეთუსია (ქეთევან) იგნატოვა,** რომელიც უკვე კარგა ხანია, რაც აშკარად ითხოვს ჰომოსექსუალიზმის, ესე იგი პედერასტიისა და ლესბოსელობის საქართველოში საზოგადოებრივად დაკანონებას და არამარტო ტაბუს ზერელედ მოშლას. სხვაგვარად თურმე ქართველები ტყუილად ვიმედოვნებთ თანამედროვე ცივილიზებულ ერად გახდომას. არა, ისე, მართლაც, კაცმა რომ თქვას, როდემდე შეიძლება რომ სექსუალური ცივილიზაციის ცხრათვალა მზით გაჩახჩახებულ მსოფლიოში აგრერიგად ჩამორჩენილობის დაღდასმულნი ვიყოთ პრომეთევსზე ბევრად უფროსი ამირანის შთამომავალნი, რომელთაც არც მაშინ არ დაგვიძრავს კრინტი, როცა სახელისუფლებო ყვავ-ყორნებმა თავის ღვიძლიანად „შეკორტნეს“ ვახტანგ ონიანის დიდებული „ამირანი“ და დღემდე არ ვიცით, რა ბედი ეწია ჩვენი ხალხის მიერ ჯერ კიდევ 3500 წლის წინათ შექმნილ ამ გილგამეშისა და პრომეთევსის თანამეცეცხლე გმირს...

მოგეხსენებათ, ქალბატონი ქეთუსია, როგორც მინისტრის მოადგილე, ჩვენს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმოადგენს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოდის დღეს ერთადერთი სახელისუფლებო „ლიტერატურული გაზეთიც“ (რომლის თავკაცი, ანუ რედაქტორია თავადაც ახალგაზრდა მეპროზე ირაკლი ჯავახაძე), რომელიც, ცხადია, უწინარესად, ანგარიშვალდებულია სწორედ თავისი დამფინანსებელი სამინისტროს წინაშე, რასაც დღემდე პირნათლად ასრულებს... თანამედროვე ცივილიზებული დასავლეთისკენ ბეჯითად და მიზანმიმართულად გვიწალდავს ჩვენი მთელი საუკუნით ჩამორჩენილობის მაჩვენებელ, დახავსებული ტრადიციებით ჩახერგილ გზას.

და აი ამ გზაზე, ახალი ქართული მწერლობის საბედნიეროდ, კიდევ ერთი სრულიად ახალი ბიოგრაფიის კალმოსანი გამოჩნდა, მწერლობა კი, ბოლოს და ბოლოს, უპირველესად თვითონ მწერლის ბიოგრაფიაა. და ამ ჩვენს „ლიტერატურული გაზეთის“ ახალბედა ავტორს თავისი ცხოვრების 50 წლიდან 16 წელიწადი ციხის კედლები აქვს ნალესი. ციხეში ყოფნისას სასჯელი რამდენჯერმე დაუმატებიათ და ორგზის ნასამართლევი გამხდარა, პირველად მკაცრი რეჟიმის ათი წელი მიუციათ, მერე ეს ათი წელი ცამეტ მკაცრ წელიწადად გადაკეთებულა, მერე – 15 განსაკუთრებულად. და საბოლოოდ 18 წელიწადი გამოსვლია. სასჯელს თურმე უკრაინაში იხდიდა, საბჭოთა კავშირი რომ დანგრეულა, საქართველოში დაუბრუნებიათ და იქაც ცოტა ხანს კიდევ მჯდარა... ციხიდან 38 წლისა გამოსულა...

ზუსტად ვერ ვიტყვი, უფრო სწორად მსოფლიოში არ ვიცი, მაგრამ თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში ასეთი მძაფრი ბიოგრაფია, ალბათ, ბევრ ქართველ მწერალს არა ჰქონია... ამ მხრივ ეს ჩვენი **ზურაბ ლეჟავა** პირველია, პირველია აგრეთვე იმითაც, რომ იგი ამჟამად თვითონ კულტურის მინისტრის მიერ ნაჩუქარ მაგიდაზე წერს, რომელი მაგიდის ორი მესამედიც თურმე მწერლის უმცროს შვილს ლუკას უჭირავს (ალბათ, უფროს ივანესთან ერთად მონაცვლეობით).

მოთხრობა, რომელსაც **„სამანტას შეუსაბამო პოზა“** ჰქვია, სწორედ კულტურის მინისტრის ამ ნაჩუქარ მაგიდაზე დაწერილა (სამანტა ფოქსი ამერიკელი ფოტომოდელია, პლასტმასის პორტსიგარში გადამალულ კალენდარზე გამოსახული, რომელიც პატიმარ შაშვიაშვილს მამაკაცთან ცხოვრებისას სექსუალურ აღგზნებაში შველის).

ლოგიკა მოითხოვდა, რომ რახან მოთხრობა თვითონ კულტურის მინისტრის მიერ ნაჩუქარ მაგიდაზე დაიწერა, დაბეჭდვითაც კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამომავალ გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო და აკი დაბეჭდა კიდეც (№42, 2001 წ.).

სანამ ქართველი პატიმარი შაშვიაშვილი (მომავალი მწერალი) უკრაინის ციხეში რუს ფერშალს წაკუზავდეს (ეს ადგილი, ალბათ, სიმბოლურად უნდა გავიგოთ: პატარა საქართველო სექსუალურად ამდაბლებს დიდ რუსეთს! არ მოისვენე? მაშ, გაირჭე ქართული შაშა, კოლას რომ თავი დავანებოთ!), იგი ჯერ ოცდაათმეტრიან ვირტუალურ ძეგლს უდგამს თავის საოხრო ფალოსს. თუკი **„ერთიბეწვა, თითის სიმსხო გველს ინდაურის კვერცხის გადაყლაპვა“** შეუძლია, მაშ, რატომღა არ უნდა **„შეეტიოს ექიმის ხელი მამაკაცის ნორმალურ ასოში, ის ხომ თითზე გაცილებით მსხვილია, უძვლოა და თანაც „ბრძენი“ გველისგან განსხვავებით საერთოდ არა აქვს ტვინი. მე მგონი, საფუძვლიანი ადგილობრივი ანესთეზიის შემდეგ, ხელის შეყოფა იქით იყოს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის თავდადებული რომელიმე ექსპერიმენტატორი ექიმი შეიძლება მთლიანად შეუძვრეს ავადმყოფს საშარდე მილში და გამოიღოს იქიდან ქვები, კენჭები, ხრეში, ლოდები, „ბულიჟნიკები“ და ღორღი. პირადად მე ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ და სასჯელით გათვალისწინებული წლების შემცირების შემთხვევაში დავთანხმდებოდი ასეთ ექსპერიმენტზე — შევაყოფინებდი ხელებს ჩემს საშარდე არხში ექიმებს და თუ შეეტეოდნენ მთლიანადაც შევუშვებდი შიგ. ისინი იქ მოაწყობდნენ ლაბორატორიას და დაადგენდნენ, თუ რა იწვევს ადამიანში კენჭების დაგროვებას. ადამიანები ერთხელ და სამუდამოდ დაისვენებდნენ კენჭის გავლით გამოწვეული ტკივილებისგან. მადლიერი კაცობრიობა კი ჩემს ფალოსს დაუდგამდა ძეგლს. რაღა თქმა უნდა, ეს იქნებოდა მონუმენტური სკულპტურული ანსამბლი: დაახლოებით ოცდაათმეტრიანი, მეფე-ზარბაზნისებრ შემართული, ბრინჯაოს შაშა და მეფე-ზარბაზნისვე საბრძოლო ბირთვებისდარი ყვერები შაშაზე მიდგმული იქნებოდა შესაბამისი ზომის ბრინჯაოს კიბე, რომელზედაც იდგებოდნენ ან, უკეთ ითქვას, რომლითაც ჩამოვიდოდნენ ძირს სამედიცინო „თეთრ“ ხალათებში გამოწყობილი ახალგაზრდა მეცნიერი მედიკოსები...**

**ანსამბლის ცენტრში ენთებოდა მუდმივი ცეცხლი, რომლის გიზგიზსაც დაიცავდა საპატიო ყარაული — ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მოწვეული ორი ზორბა სანიტრის სახით.**

**ჩემი ანდერძის ყველაზე უფრო კატეგორიული მოთხოვნის თანახმად ყველა ადგილობრივ „ბომჟს“ და შემოხეტებულ უსახლკარო და უმუშევარ მაწანწალას მიეცემოდა ამ ცეცხლთან გათბობის, წამოწოლის, ჯოხზე ჩამოკიდებულ ქვაბში „სასისკების“ მოხარშვისა და სველი „ნასკების“ გაშრობის საშუალება, გარდა ამისა ზემოთ მითითებული კატეგორიის ადამიანებიდან ქრონიკული პროსტატიტით დაავადებულებს მიეცემოდათ მონუმენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოშარდვის უფლება; შესაბამისად მეტეორიზმით დაავადებულებს კი მიეცემოდათ გაკუებისა და გაცუების უფლება მონუმენტთან ახლოს. იგივე უფლებებით ისარგებლებდნენ სამთავრობო პირები, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერები და უცხოელი დიპლომატები.**

**ჩემი ფალოსის მეფე-ზარბაზნისებრი მონუმენტის კვარცხლბეკთან გაფანტულად ეყრებოდა და ლამაზად ეწყობოდა უმშვენიერესი ყვავილები, თუმცა კვარცხლბეკზე დიდი, მოჩუქურთმებული ასოებით იქნებოდა ამოტვიფრული ოქროთი მოვარაყებული წარწერა:**

**„ტრაკში გაიკეთეთ თქვენი ყვავილები“.**

როგორი ფანტაზიაა! როგორი პროზაა! როგორი ამაღლებული სტილია! თანაც როგორი ზრუნვა ჩანს უმუშევრად დარჩენილი ექიმების დასასაქმებლად!.. ისე, ამ მართლაც ფრიად ნატანჯი ავტორისა არ იყოს, განა ამჟამინდელ ქართველთ გვაკლია მეტეორიზმით დაავადებულ (რასაკვირველია, ნამეტნავად კარგი ჭამა-სმისგან!) სამთავრობო პირთაგან თუ საპარლამენტო, გინდ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერთაგან და უცხოელ დიპლომატთაგან ყოველგვარი მავნე ქარების მოზერვა?!. კიდევ გაქეზება რაღა საჭირო იყო...

ახლა კი ისევ ქართველი შაშვიაშვილის წინ „საბრძოლველად“ წაკუზულ რუს ფერშალს მივუბრუნდეთ (თუ უკაცრავად არ ვიყო!): **— ე-ე-ე, ეგრე არა, აი ასე, — თქვა პრაპორშიკმა და გამოსაწველად ხელი წამატანა ჩუჩაგადაწეულ ასოზე... შარვალში მაჯამდე შეყოფილ მარცხენა ხელში ეჭირა ჩემი საზარბაზნე ბირთვები, მარჯვენათი კი მეცნიერული სკრუპულოზურობით მისინჯავდა და მიწველიდა უტვინოს... ცალი ხელით ყვერებს მისრესდა ნაზად, მეორეთი კი „მიკროფონს“ მიმოწმებდა... რა ვქნა, ცოტათი ამიდგა... ამ ცვლილებამ პროპორშიკი გაახარა და კიდევ უფრო აღაგზნო. ის ჩემს შაშა-ბობიერუს გაუპარსავი ლოყით გაეხახუნა მოტვლეპილ თავზე და კმაყოფილი ჩურჩულით წარმოთქვა ორად ორი სიტყვა: — უი ხუი! ხუი! ხუი! — დავუდასტურე მე ჩურჩულითვე...**

**თუმცა ამ ფერშალ-პრაპორშიკის ორი დღის თუ დღენახევრის გაუპარსავი ლოყის გახახუნება არ მესიამოვნა... ოდნავ უკან დახევა ვცადე, მაგრამ ვერ მოვასწარი. ჩემ წინ ჩაცუცქული, თითქმის მუხლებზე მდგომი პრაპორშიკი, როგორც მონდომებული მანგუსტი დასწვდება ხოლმე გამობენტერავებულ გველს, ისე დაეტანა პირით ჩემს უტვინოს და ნამდვილი ვირტუოზივით დაუწყო წუწნა“.** (უტვინო ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბევრს რასმე და ბევრს ვისმე შეიძლება რომ მიეწეროს, ცხადია, თვით პუბლიკაციის რედაქტორის ჩათვლით!).

ჯერ სადა ხართ, ქვემოთ ნახეთ, რა ამბავი ხდება... **„აკეთებდა ამას შეუდარებელი ოსტატობით და თანაც ერთგვარი თავდაზღვევითაც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით, კბილებით ვყავდი დაბმული: პრაპორშიკი კი მუშაობდა ენითა და ტუჩებით, მაგრამ კბილები მისი ისეთნაირად მქონდა მოჭერილი, რომ გაწევ-გამოწევა ან, მით უმეტეს, გამოღება, ფერშლის ნება-სურვილის გარეშე, იყო შეუძლებელი.**

**— თფუ, რა არის ეს?! — წარმოთქვა ამასობაში ფერშალმა და პირიდან ზიზღით გამოიღო რაღაც. მე კი ჩემის მხრივ ერთგვარი შვება ვიგრძენი საშარდე არხში და მაშინვე მივხვდი, რომ „მასტირკის“ ნარჩენმა ჩემი საშარდე არხიდან ფერშალის პირის ღრუში გადაინაცვლა. მკურნალმა უტვინო პირიდან გამოიღო, თუმცა ხელი არ გაუშვია. მეორე ხელზე კი ნერწყვიანი საპნის მარცვალი დაიფურთხა. — იბი-იო-მაწ, რა არის ეს?!“ — მერე შარვლის ღილები შეიხსნა, ჩაიწია შარვალი, წაიკუზა და პირიდან გამოღებული საპონი საჩვენებელი თითით ტრაკში შეიზილა. მე არ ვიცი, რატომ გააკეთა მან ეს; წამლების ყუთში ხომ უამრავი საცხი და კრემი ჰქონდა.**

**ის წაიკუზა და დიდი ზომის აბაზანისებრ ჩანს დაეყრდნო ხელებით, მერე კი როგორღაც (როგორ ვიხმარო ეს სიტყვა) ამაყად მოატრიალა თავი მბრძანებლური ტონით, მკაცრად გამომძახა:**

**— ჰა, მოდი, რაღას უცდი — მოდი დროზე.**

**მივედი, მაგრამ არ გამომივიდა. რაღაც არ მიმივიდა გული. ჟანდარმის უნიფორმა ეცვა, მწითურბეწვიანი საჯდომი ჰქონდა და, — დოზანა, — ცოტათი უჩანდა ყვერები. — რა იყო?! — იკითხა მან მომთხოვნად და მკაცრად. — რა ვიცი, რაღაც ვერ შედის უფროსო... — ვუპასუხე მე შეწუხებული ტონით. — ეეეხ! — ამოიხვნეშა მან უკმაყოფილოდ და სწრაფი ქექვით ამოიღო ვაზელინიანი „წუბიკი“ თავისი წამლების ყუთიდან, სწრაფად გამოიწურა თითებზე ვაზელინი, ამოიგლისა ტრაკი და ისევ დაეყრდნო ხელებით ჭურჭლის გასარეცხ ჩანს. მე მივებჯინე ხელახლა, მაგრამ კვლავ თითქმის არაფერი გამომივიდა.**

**აი სწორედ ამ დროს გამახსენდა ჩემი გაჭირვების ტალკვესი: ჩემი სამანტაფოქსიანი პორტსიგარი და გულის ფანცქალით ამოვიღე ჯიბიდან ის. გავხსენი, თითების კანკალით ამოვიღე კალენდარი და ქვეყნიერებაც მაშინვე ვარდისფრად ალიცლიცდა. ის, რაც აქამდე ვერ მქონდა კარგად აყენებული, ახლა ჩინებულად ამიდგა — მამაპაპურად, ჩა-ჩა-ჩა, ჯუ-ჯუ!!! ვებდღვენი ფერშალს და კარგადაც გავუჭედე ბაირამ-ფათახში. ფერშალი მოულოდნელობისგან აღტკინდა: ის აკვნესდა, ახვნეშდა და, ალბათ, ვერ გადავურჩებოდი დაკბენას, კისრის მიტრიალება რომ შესძლებოდა. დისკომფორტს მიქმნიდა ერთი თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში ერთობ მნიშვნელოვანი გარემოება: ფოტოზე გამოსახული სამანტა თავზეხელებშემოწყობილი და წელში გამართული იდგა პირისახით ჩემსკენ, პრაპორშიკი კი პირიქით — ჩემსკენ ზურგით იდგა და თანაც წაკუზულ მდგომარეობაში. ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაინც აღსაკვეთად პრაპორშიკს ხელების სამანტასავით თავზე შემოწყობა ვთხოვე და ამ შემოწყობილ ხელებში სამანტა ფოქსის სურათიც შევაჩეჩე. ამგვარად მისი პოზა ცოტათი დაემსგავსა სამანტასას...**

**მერე დამთავრდა ყველაფერი და ჩვენ ერთად განვიცადეთ ორგაზმი; შემდეგ შარვლები ავიწიეთ, პრაპორშიკმა მკლავში ხელი მომაჭდო და ისეთნაირად შემომხედა, თითქოს უნდოდა დაერტყა ჩემთვის.**


ლიტერატურული გაზეთი
№42 14-27 იანვარი 2011
გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით
ფასი 50 თეთრი
ტარიელ ჭანტურია
წიგნიდან:
საიტ. უმლო ზარათი - 2
2011
ბესიკ ხარანაული
დამალამებინე,
გამათენებინე!

**— შენ, ალბათ, თვლი, რომ მე პედერასტი ვარ! — მითხრა მან მწარედ და თვალი თვალში გამიყარა. — ჰო, პედერასტი არა ვარ, მაგრამ რატომღაც მინდება ზოგჯერ ასე...“**

მართლაც დიდი ოხერი რამ არის ეს ნდომა. ციხეში, ტყვეობაში, სადმე უდაბნოში კიდევ გასაგებია, მაგრამ, როგორც ჩანს, რაც ძალიან სამწუხარო და სავალალოა, თურმე არც ზოგიერთ რედაქციაში ყოფილა ამ უცნაური გრძნობის გაჩენა უცხო.

ზემოხსენებული ამერიკელი ფოტომოდელისა არ იყოს, ამ შემთხვევაში ვერც კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული „ლიტერატურული გაზეთის“ პოზა გამოიყურება მაღალი ზნეობის შესაბამისად.

ისე, ნეტავ იმის ჩიტი მქნა, ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ რას შეეკითხებიან კულტურის მინისტრის მიერ ნაჩუქარ თავიანთ წილ მაგიდასთან პატარა ივანე და ლუკა მწერალ მამიკოს, რომლის მოთხრობები ამ ბოლო დროს თურმე საუკეთესო ევროპული მოთხრობების ინგლისურენოვან ანთოლოგიებში შეაქვთ (ცხადია, ჩვენი კულტურის სამინისტროს რეკომენდაციით).

ერთი სიტყვით, ჩამორჩენილობის მოჯადოებული წრიდან ნელ-ნელა გავდივართ. ისე უთუოდ ცუდი არ იქნება, თუ „ლიტერატურული გაზეთი“ ევროპულ-ამერიკულად ჩვენი თვალის ახელის ნაციონალურ ტრადიციას კვლავაც განაგრძობს და სანამ ახალი საორგაზმო-საჟრუანტელო რამ გამოჩნდებოდეს, ნომრიდან ნომერში „საიდუმლო სიროზის“ ახალ ვარიანტსაც შემოგვთავაზებს...

რახან შეჩვევაა, შეჩვევა იყოს, ვისია, აღარ მაგონდება, მაგრამ ზუსტი ნათქვამია: თუ ერთ რომელსამე სიბინძურეს შეგაჩვიეს, მერე სულ ახალ-ახალსა და ნაირ-ნაირს ჩაგადენინებენო... დიახაც ასეა ჩვენი საქმე. თანაც, ფრიად და ფრიად სავალალოდ, ეს ყველაფერი ხდება ჩვენი ღრმასაფუძვლიანი ეროვნული ფასეულობების სამარცხვინოდ დაკნინება-დამცირების ხარჯზე... თვით „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე. არადა, „ლიტერატურული გაზეთი“ კი უნდა ერკვეოდეს, რა არის ნამდვილი ლიტერატურა და რა შხამნარევი მაკულატურა...

**დასასრულ, ისიც უთუოდ უნდა ითქვას, რომ, როგორც საქმიდან ჩანს, საქართველოსგან ამ ბოლო დროს, სხვა ქვეყნები არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ რეფორმატორობას სწავლობენ, არამედ მალე ახალ ლიტერატურულ მიდგომებსა და მიმართულებებსაც გადაიღებენ...**

**სულაც არაპატივისცემით**
**იწილო ბიწილოიძე**

რაგბი

# „ლომების“ მოთვინიერება ვაკეში

**„ბორჯღალოსნებს“ ესპანელი მორაგბეები უწინაც დაუმარცხებიათ, დიდი ანგარიშითაც, მაგრამ ვაკეში „ლოკომო-**



**ტივის“ სტადიონზე შაბათს ერთა თასზე გამართული მატჩი მაინც განსხვავებული იყო – მასპინძლებმა ყველა კომპონენტში ისე დაჯაბნეს პირენეელი „ლომები“, რომ მხოლოდ ორჯერ მისცეს ანგარიშის შემცირების შანსი, თუმცა სტუმრებმა ისინიც ვერ გამოიყენეს.** ორთაბრძოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა რეჯის სონმა თქვა: „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღვნიშნე – რუსეთის ნაკრები ერთა თასის ფავორიტიათქო. დღევანდელი პაექრობის შემდეგ უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები – უპირობო ლიდერად საქართველო მიმაჩნია“. სხვა რაღა უნდა ეთქვა „ლოკომოტივზე“ მოთვინიერებული „ლომების“ თავკაცს. 0:60 – ასეთი ჩასველებული ანგარიშით მარცხი პირენეელებს, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ. საქართველოს ნაკრებმა 9 ლელო გაუტანა (გუგავა, კვირიკაშვილი, კაჭარავა, ხამაშურიძე, ნატრიაშვილი, ზიბზიბაძე (2ძ, ლაბაძე, ბ. ურჯუკაშვილიძ მეტოქეს და საპრემიო ქულაც დაიმსახურა.

საქართველოს ნაკრებმა ესპანელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხამაშურიძე (ბ. ურჯუკაშვილიძ, გუგავა, კაჭარავა, ზიბზიბაძე, მაჩხანელი, კვირიკაშვილი (მალაღურაძეძ, აბუსერიძე (სამხარაძეძ, კაკოვინი (ფეიქრიშვილიძ, ნატრიაშვილი (ბრეგვაძეძ, შეყლაშვილი, დათუნაშვილი, მაისურაძე (თავართქილაძეძ, სუთიაშვილი, ლაბაძე, ჩხაიძე (მაისურაძეძ.

იმავე დღეს რუსეთმა შინ პორტუგალიასთან 19:21 წააგო. მომდევნო მე-3 ტურში „ბორჯღალოსნები“ ლისაბონში სწორედ ლოზუშებთან ითამაშებენ. რუმინეთი რუსეთს უმასპინძლებს, ესპანეთი – უკრაინას.

**IV ტური. 12 მარტი.** საქართველო – რუმინეთი, ესპანეთი – პორტუგალია, უკრაინა – რუსეთი.

**V ტური. 19 მარტი.** რუსეთი – საქართველო, რუმინეთი – ესპანეთი, პორტუგალია – უკრაინა.

ორი ტურის შემდეგ: საქართველო – 10 ქულა (+119 ბურთიძ, პორტუგალია – 8 (+9ძ, რუსეთი – 5 (+2ძ, ესპანეთი – 1 (-64ძ, რუმინეთი – 1 (-7ძ, უკრაინა – 0(-59ძ.

* * *

**გაუწყებთ 6 ერის თასის გათამაშების II ტურის შეხვედრების შედეგებსაც: ინგლისი – იტალია 54:21, ირლანდია – საფრანგეთი 22:25 (გადამწყვეტი საჯარიმო იაშვილმა გაიტანაძ, უელსი – შოტლანდია 24:6.**

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# ზოგი ჭირი მარგებელია

**ხომ გსმენიათ – გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.**

**ასეა თსუ-ს საქმეც – მართალია ტრავმების გამო გუნდს ფანჩულიძე, მარხვაშვილი და კოხრეიძე აკლია, მაგრამ გამოცდილი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი მის განკარგულებაში მყოფი კონტინგენტითაც ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას.**



ამჯერად სტუდენტებმა სუპერლიგის ერთ-ერთ ფავორიტს „სოხუმს“ ჩაუტარეს გაკვეთილი, რომელსაც ახალი თავკაცი, ლატვიელი აინარს ბაგატსკისი უძღვებოდა – 71:59 (20:13, 19:15, 13:16, - 19:15ძ.

შეხვედრის გმირები ტურის საუკეთესო მოთამაშე რიჩარდ მათიაშვილი (22 ქულა, 14 მოხსნაძ და მიხეილ ბერიშვილი (19 ქულა, 11 მოხსნაძ, გახდნენ, ზღვისპირელთაგან კი მხოლოდ ლაშა ფარღალავას წაუვიდა ტყორცნები – 19 ქულა.

**დანარჩენი შედეგები:** „ქუთაისი“ – „არმია“ 48:65 (11:16, 11:11, 19:26, 7:12ძ. **ყველაზე შედეგიანები:** ბარბაქაძე, კოღუაშვილი – 12-12 ქულა („ქუთაისი“ძ; ბაბიაშვილი – 16, შარაბიძე – 13 ქულა („არმია“ძ, შსს – „დინამო“ 96:68 (24:4, 27:23, 21:23, 24:18ძ. **ყველაზე შედეგიანები:** შერმადინი – 18, ტომარაძე – 16 ქულა (შსსძ; ალხანაიძე – 17, პატარაია – 15 ქულა („დინამო“ძ, „სასოფლო“ – „სამედიცინო“ 81:78 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 70:70. 18:22, 9:13, 23:18, 20:17, 11:8ძ. **ყველაზე შედეგიანები:** ხანიაშვილი – 28, არწივიძე – 21 ქულა („სასოფლო“); ლეჟავა – 16, დვალიშვილი – 14 ქულა („სამედიცინო“ძ, სტუ – „ენერჯი ინვესტი“ 83:51 (16:9, 20:15, 28:8, 19:19ძ. **ყველაზე შედეგიანები:** ჩიკვილაძე – 20, ლომოური – 18 ქულა (სტუძ; ხმელიძე – 15, აბაიშვილი – 9 ქულა („ენერჯი ინვესტი“ძ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ – 1, შსს, თსუ – 3-3, „ქუთაისი“ – 4, „სოხუმი“, „ენერჯი ინვესტი“ – 5-5, „ბათუმი“ – 7, სტუ – 8, „სასოფლო“, „სამედიცინო“ – 9-9, „დინამო“ – 11 წაგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ძიუდო

# „ბრინჯაოს“ ბიჭები



**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უნგრეთის დედაქალაქში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მთავარი მწვრთნელის სოსო ლიპარტელიანის გარეშე განახლებული შემადგენლობით გაემგზავრა.**

მიუხედავად ამისა, ჩვენმა თანამემამულეებმა ბუდაპეშტის ტატამზე ორი ბრინჯაოს მედალი მაინც მოიპოვეს. საპატიო კვარცხლბეკზე ბეთქილ შუკვანი და ლადო კარბელაშვილი ავიდნენ, ხოლო ნოდარ მეტრეველმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

**დაწვრილებით – ხვალინდელ ნომერში.**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**რაოდენობა რომ ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხს, კარგად დადასტურდა განახლებული ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე.**

უკვე გაუწყეთ, რომ ახალი სეზონის წინ თბილისის „დინამო“ 10 დებიუტანტით გაძლიერდა, თუმცა გათამაშების აუტსაიდერის – „ცხინვალის“ დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 1:1 (ჰაჯიბულიჩი; მეტრეველიძ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მეტოქეთა პირველი წრის მატჩიც ზავით დასრულდა – 0:0, საფიქრებელია, რომ ერთგვარ ფსიქოლოგიურ კომპლექსთან გვაქვს საქმე.

**X ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია:** „ოლიმპი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:1 (ბოლქვაძე, მოდებაძე; ჩიმაკაძეძ, „ზაია“ – „სიონი“ 1:0 (ქობალიაძ, „კოლხეთი“ – „სამტრედია“ 2:1. დიდთოვლობის გამო გადაიდო „ზესტაფონი“ – „ტორპედო“.



* * *

**„ბენდელას თასის“ სამგზის მფლობელი საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის გუნდი პირველი საუნივერსიტეტო რომპეტროლიადის გამარჯვებული გახდა. მან ფინალში 3:2 მოუგო თსუ-ს. „ოქროს გოლი“ ცოტნე ცერცვაძემ გაიტანა.**

სეუ-ს წარმატებები მნიშვნელოვანწილად მისი რექტორის, სპორტის დიდი ქომაგის გია კავთელიშვილის სახელს უკავშირდება, რომელიც საკუთარ სტუდენტთა მწვრთნელიც არის, პრეზიდენტიც და, რაც მთავარია, მეგობარიც. ერთი მრავლისმთქმელი ფაქტი: სწორედ ბატონმა გიამ ჩამოიყვანა გადამწყვეტი ბრძოლისთვის თავისი მანქანით თბილისის „ლოკომოტივის“ შეკრებაზე მყოფი დაცვის ბურჯი გოჩა ჭოველიძე.

მესამე ადგილი სტუ-მ დაიკავა, რომელმაც საქართველოს უნივერსიტეტს სძლია – 5:3.

ტურნირის მაღალ დონეზე წარმართვაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ორგანიზატორებმა: კომპანია „რომპეტროლ საქართველომ“, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ, აგრეთვე ორგკომიტეტის თავკაცმა თემურ დოლიძემ და მსაჯებმა: არსენ ნონიკაშვილმა და შოთა ქუხილავამ.

სოლიდური ინდივიდუალური პრიზებით აღინიშნა ასპარეზობის გამორჩეულ მონაწილეთა ოსტატობაც. ესენი არიან მეკარე ლაშა წამალაშვილი (სტუძ და საუკეთესო მოთამაშე ამირან ცხომარია (სეუძ.

* * *

**იტალია.** „მილანი“ – „პარმა“ 4:0, „რომა“ – „ნაპოლი“ 0:2, „ბრეშია“ – „ლაციო“ 0:2, „იუვენტუსი“ – „ინტერი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მილანი“ – 52, „ნაპოლი“ – 49, „ლაციო“ – 45, „ინტერი“ – 44 ქულა.

**ესპანეთი.** „ხიხონი“ – „ბარსელონა“ 1:1, „ესპანიოლი“ – „რეალი“ 0:1, „ატლეტიკო“ – „ვალენსია“ 1:2, „დეპორტივო“ – „ვილიარეალი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 62, „რეალი“ – 57, „ვალენსია“ – 47, „ვილიარეალი“ – 45 ქულა.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „სიტი“ 2:1, „არსენალი“ – „ვულვზი“ 2:0, „სანდერლენდი“ – „ტოტენჰემი“ 1:2, „ლივერპული“ – „უიგანი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 57, „არსენალი“ – 53, „სიტი“ – 49, „ტოტენჰემი“ – 47 ქულა.

**გერმანია.** „კაიზერი“ – „ბორუსია“ 1:1, „აინტრახტი“ – „ლევერკუზენი“ 0:3, „ბაიერნი“ – „ჰოფენჰაიმი“ 4:0, „ვერდერი“ – „ჰანოვერი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბორუსია“ – 52, „ლევერკუზენი“ – 42, „ბაიერნი“ – 39, „ჰანოვერი“ – 38 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან



## კიმ კლისტერსი პირველია!

**კიმ კლისტერსმა ქალთა ჩოგბურთის „ტახტზე“ შეცვალა დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი.** ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 27 წლის ბელგიელმა პარიზში მიმდინარე მე- 19 ქალთა ტურნირზე Open GSF Cuez ჯერ ავსტრალიელი დოკიჩი დაამარცხა – 6.3, 6:0. ხოლო ნახევარფინალში ესტონელ კანეპის სძლია – 6:1, 7:5. მართალია კიმი ფინალში ჩეხ კვიტოვასთან დამარცხდა – 6:4, 6:3, მაგრამ ამან ვერ იმოქმედა მის ლიდერობაზე.

## მსაჯს სასტვენი ჩასჩარა

**იტალიელი მოყვარული ფეხბურთელი ანდრეა ბიონდი 20-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რადგან სცადა, მსაჯისთვის სასტვენი გადაეყლაპებინა. მან ეს გააკეთა მას შემდეგ, რაც არბიტრმა წითელი ბარათი აჩვენა.** ეს მოხდა 2011 წლის 5 თებერვალს. „ალბერეტა-72“, სადაც ბიონდი თამაშობს, ხვდებოდა „სანკატოს“. ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს მსაჯის შეურაცხყოფისთვის. მან კი იმის ნაცვლად, რომ წყნარად დაეტოვებინა მინდორი, მსაჯს თავში ხელი სტაცა და სასტვენი პირში ჩასჩარა, თუმცა ვერ მოახერხა, ის გადაეყლაპებინა. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი გაიყვანეს მინდვრიდან, მაინც განაგრძობდა მის გინებას და მუქარას.

ეს ორი გუნდი გამოდის იტალიის „მესამე კატეგორიის“ დივიზიონში, რაც ფაქტობრივად მეათე დივიზიონია.

## მაგდამ უნდა გამოიძინოს

**თუმცა, უკვე დიდი ხანია, პრესის პირველ გვერდებზე არ გამოჩენილა ცნობილი იტალიელი მოდელი მაგდა გომესი, სახელი რომ გაითქვა არა მხოლოდ პოდიუმზე მუშაობით, არამედ ფეხბურთელ ფილიპო ინძაგისთან, ველოსიპედისტ მარიო ჩეპოლინისთან და მოტომრბოლ ვალენტინო როსისთან ურთიერთობითაც, მაგრამ ალბათ მალე ისევ აალაპარაკებს მთელ იტალიას.**



საქმე ის არის, რომ მაგდა თავის კოლეგა დაქალებთან ერთად მალე მონაწილეობას მიიღებს რეალითი-შოუში „ცნობილთა კუნძული“. სწორედ ამიტომ მაგდა, რაფაელა ფიკო, ჯორჯია პალმასი, რაფაელე პაგანინი, ელეონორა ბრილიადორე, ლუკა დირიზიო, მაქვიკარი და ტიაგუ ალვეშები მიემგზავრებიან ჰონდურასში (იქ გადაიღებენ შოუსძ.

აეროპორტში ვარსკვლავები გააცილეს ჟურნალისტებმა, ლამაზმანების მილულულ თვალებში დაღლილობა, აგრეთვე მათი კარგი განწყობა რომ შეამჩნიეს. თუმცა სანამ თავგადასავალი არ დაწყებულა, ისინი უნდა მოდუნდნენ და კარგადაც გამოიძინონ, თორემ კუნძულზე ამის დრო აღარ ექნებათ.

## განცხადება

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:

**დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის უფროსი**

ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:**

- დოკუმენტების დაზიანების ხარისხის შეფასება და აღწერა;
- სადეზინფექციო და სარესტავრაციო სამუშაოების დაგეგმვა და შესრულება;

მეთოდური ხელმძღვანელობის უნარი.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება, სასურველია ქიმიკოსი ან/და სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული;
- რესტავრაციის კუთხით საქმიანობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება;
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება;
- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

**საფინანსო სამსახურის უფროსი**

ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 1500 ლარი.

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:**

- ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის პროექტის შემუშავება;
- საბიუჯეტო ასიგნებებიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან გაწეული ხარჯების დარიცხვისა და გადარიცხვის ოპერაციების შესრულება;
- გაწეული ხარჯების შესახებ ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ფორმების მიწოდება იუსტიციის სამინისტროსათვის, იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №941 ბრძანების შესაბამისად;
- ფინანსთა სამინისტროსთვის ყოველკვარტალური ანგარიშების მომზადება, ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 6 აპრილის №71 დადგენილების შესაბამისად;
- ორგანიზაციაში განხორციელებული საბუღალტრო ოპერაციების კონტროლი.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**უმაღლესი ეკონომიური განათლება;**

- საფინანსო კუთხით მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამის „ორის-ბუღალტერიის“ ცოდნა და მასში მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება;
- ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში მუშაობის გამოცდილება;
- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა;

საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა.

**საკონკურსო თემატიკა:**

- საქართველოს ბიუჯეტის კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება.

**შესყიდვების სამსახურის უფროსი**

ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 1500 ლარი.

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:**

- ელექტრონული საშუალებებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტების შემუშავება;
- ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო კომისიის სხდომების ოქმების პროექტების მომზადება;
- ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების პროექტების შედგენა;

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ანგარიშგების მომზადება მოქმედი კანონმდებლობით და მონიტორინგი (კონტროლი, სადავო საკითხების გადაჭრაძ.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება;
- ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების პროგრამაში მუშაობის გამოცდილება;
- ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტების შემუშავების გამოცდილება;

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.

**საკონკურსო თემატიკა:**

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის № 1 ბრძანება;
- საქართველოს შრომის კოდექსი.

**საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტის - კურიერი.**

**(სამუშაო პერიოდი: 4 თვეძ**

ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 450 ლარი.

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობა:**

- ეროვნული არქივის წერილების სხვადასხვა დაწესებულებებში დროული მიტანა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება
- საოფისე პროგრამების ცოდნა
- კომუნიკაციის უნარი
- სწრაფი რეაგირების უნარი
- დროის რაციონალურად გადანაწილების უნარი

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ გამოაგზავნოთ საპლიკაციო ფორმა (იხილეთ დანართი საქართველოს ეროვნული არქივის საიტზე www.archives.gov.ge ძ 2011 წლის 14 თებერლიდან - 28 თებერვლის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: avacharadze@archives.gov.ge საპლიკაციო ფორმის მიტანა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მისაღებშიც, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №1.**

**გთხოვთ, მიუთითოთ სასურველი პოზიციის დასახელება სათაურის ველში, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.**

## განცხადება

**2011 წლის 23 თებერვალს 15.00 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.**

**დღის წესრიგი:**

1. ინფორმაცია ამხანაგობის გამგეობის მიერ 2010 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილიძ;
2. ინფორმაცია მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილიძ.

**ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

**ამხანაგობის გამგეობა**

## ინფორმაცია

### 17 წლის გოგონას მკვლელი დააკავეს

**კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს.**

**გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 20 წლის ზაზა ბედოშვილმა 2010 წლის 26 აგვისტოს 17 წლის ციცინო ქიტაშვილი გაგუდა და შემდგომ ცხედარი ახმეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დამარხა.**

**დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ახლახან გამოიცა

### ქედვნება არაგველთა გმირობას

**იმ შენობაში – „სამშობლოს“ შენობაში, ათეული წლების განმავლობაში ქართველი ჟურნალისტების ერთი საერთო სახლი რომ იყო და სააკაშვილის ხელისუფლებამ, ამ სამი წლის წინათ, შეიძლება ითქვას, პანდურის ცემით გამოგვყარა, ხშირად გვხვდებოდა ხოლმე აღნაგი, კეთილღიმილიანი ჩვენი კოლეგა, გაზეთ „სახალხო განათლების“ თანამშრომელი გივი ბუთხუზი.**




ვიცნობდით კაი კაცობით, წაგვეკითხა მისი წერილები სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მაგრამ, ერთ დღესაც ჩვენი გივის მოთხრობებიც წავიკითხეთ, მგონი „ლიტერატურულ საქართველოში“, ცოტა ხნის შემდეგ კი მისი ერთ-ერთი მოთხრობის მიხედვით მოკლემეტრაჟიანი ფილმი **„ლომა“** გადაიღეს.

გივი ბუთხუზის მოთხრობებში შესანიშნავად არის გადმოცემული, უპირველესად, მთიანი საქართველოსა და მისი ადამიანების ყოფა-ცხოვრება...

მერე კარგა ხანს აღარ ჩანდა ჩვენი გივი და, აი, ამ რამდენიმე დღის წინათ წიგნად აკინძული, „ეროვნულ მწერლობაში“ გამოცემული ვრცელი მოთხრობა **„არაგველები კრწანისში“** დაგვირიგა ძველ მეგობრებს.

მოთხრობაში დამაჯერებლად არის ასახული არაგველთა მშვიდობიანი ცხოვრება და მათი თავგანწირული ბრძოლა კრწანისის ველზე, გივი ბუთხუზი მკვეთრი ფერებით ხატავს მოთხრობის მთავარი გმირის – არაგველთა მეთაურის გორთამის სახეს, საერთოდ, იმ წინაპართა ალტკინებასა და შემართებას, რითაც დღემდე მოვიდა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო.

წიგნი გამოიცა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის ნოდარ სანდუხაძის მხარდაჭერით.

გილოცავთ, ჩვენო გივი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## გახსენება

### მალხაზ სამჭკუაშვილი



**14 თებერვალი შენი დაბადების დღეა, 47 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ უტიფართ მსხვერპლი შევიქენით... 3 წლის წინათ, 15 აპრილს, ბოროტ ენათა დაუმსახურებელ შეურაცხყოფას შეეწირა შენი უჩვეულოდ კეთილი და მოსიყვარულე გული. „ენის ისარი, მკვლელი ის არის“. ეს წუთისოფელი სამოთხე არ არის, სამართალი ხომ დედამიწაზე არ მთავრდება... უფალმა გაგარიდა ამ წუთისოფელს და თავისთან წაგიყვანა, უფალს კარგები უყვარს. სიკვდილი არ არის დასასრული... ამ შემზარავმა ამბავმა გაუსაძლისი ტკივილი მომაყენა მე, თავზარი დასცა შვილებს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს და უბრალო ნაცნობებსაც. დრომ ვერ უმკურნალა სულის ტკივილს, უსაზღვრო მონატრებას, თან მარტოობას, თუმც შენ სულ ჩემთან ხარ, ჩაქსოვილი, ჩაბუდებული ხარ ჩემს გონებაში, ჩემს თვალებში სულ შენი სახეა ღვთისაგან ნაბოძები უნაკლო გარეგნობით, უსათნოესი სულიერებით, ჩემო და ყველა ახლობლისთვის დაუვიწყარო ადამიანო.**

**შენ ამხანაგებმა სიცოცხლეშივე ლექსი მოგიძღვნეს. შენ ის კაცი ხარ, ის ვაჟკაცი – გენებითა და აღზრდით უმშვენიერესი, რომელიც 1993 წლის სექტემბერში, სამშობლოს სიყვარულით ანთებული ავადმყოფ დედას ასე გამოემშვიდობე: საგანგებო მდგომარეობაა, იქნებ ერთხანს ვერ გნახო, ვერც ტელეფონით დაგიკავშირდე, არ ინერვიულო, მე არაფერი მომივა. სამსახურში მისული კი პირველი ჩაეწერე სოხუმში წამსვლელთა სიაში. ბუმისთასთან უთანასწორო ბრძოლაში, უკან რომ დაგახევინეს დაიჭერი თავის არეში, მაგრამ დაჭრილი თანამებრძოლი არ მიატოვე, სიმწრით მიაღწიეთ მედპუნქტამდე... სახლში თავშეხვეული რომ დაბრუნდი, დედას უთხარი – არ ინერვიულო, სამსახურში ფიცარს მივარტყი თავი, ნაკაწრიაო.**

**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანობის საბუთის მისაღებად არ მიდიოდი, ძლივს დაგითანხმეს. როცა II ჯგუფის ინვალიდობა მოგაკუთვნეს, სანამ ძალიან არ გაგიჭირდა, პენსიაზე არ გახვედი. გულს გტკენდა ადამიანთა უმრავლესობაში ძველებური სითბოს უქონლობა...**

**ღმერთს ვევედრები: სანამ აქ ვარ, არ გამომრჩეს ზეციურ საქართველოში მყოფთა ჩემი უძვირფასესი ადამიანების ხსენების დღეები – შენი, შენი უკეთილშობილესი მშობლების – თამარის და ხარებას, ჩემი მონატრებული დედ-მამის – ანას და ბენიამინ ზაქარეიშვილების, ჩემი დიდბუნებოვანი ძმის ჰამლეტის, ჩვენი წინაპრების, ახლობლებისა, რათა გადავიხადო მათ მოსახსენიებლად წირვები და პანაშვიდები. მათთან ერთად უპატრონო მიცვალებულების ხსენება არ მავიწყდება, ეს ხომ შენ მასწავლე.**

**გილოცავ დაბადების დღეს. და მინდა გითხრა, რომ ექიმმა და პოეტმა იამზე ჭელიძემ ჩვენს დიდ სიყვარულს მიუძღვნა ლექსების კრებული – ჩემი ცრემლები შენს საფლავზე იებს ხატავენ...**

**მონატრებული შენი მანანა**

**შპს „გეოპლანტის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოცდილი ხელმძღვანელი, საუკეთესო მეგობარი და ღირსეული მოქალაქე, შპს „ყულიშკარის“ დირექტორი ბატონი**

**ვასილ მესხია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ დაიჯესტი



## ცხვირშეცვლილი ვარსკვლავები

**ჩვეულებრივი პროვინციელი ქალიშვილი ნორმა ჯინ ბეიკერი, რომლის სახეს ბუშტივით ცხვირი „ამშვენებდა“, რამდენიმე პლასტიკური ოპერაციის შემდეგ საბედისწერო ქალად, მერლინ მონროდ გადაიქცა.**

მამით **ბერძენ ჯენიჯერ ენისტონსაც** ორ პლასტიკურ ოპერაციამდე კარგა მოზრდილი ცხვირი ჰქონდა, თუმცა ახლა იგი აქტიურად ილაშქრებს პლასტიკური ოპერაციების წინააღმდეგ, საკუთარ თავზე კი ამბობს, რომ ცხვირის ოპერაციები „სამედიცინო აუცილებლობის“ გამო გაიკეთა.

**პატრისია კაასმა** რინოპლასტიკას უკვე მას შემდეგ მიმართა, რაც სახელი გაითქვა და შესამჩნევად გალამაზდა.

რუსეთელი ვარსკვლავებიდან რინოპლასტიკური ოპერაციების გაკეთებას ბევრი არ უარჰყოფს, მაგალითად, კინომსახიობები **მაშა რასპუტინა, ელენა პროვლოვა, იულია მენშოვა. კრისტინა ორბაკაიტემ** კი ოპერაციაზე აუცილებლობის გამო დათანხმდა, რადგან ყოფილმა ქმარმა, მილიონერმა რუსლან ბაისაროვმა მას ცხვირი მოტეხა.

## ბრინჯაოში გაცოცხლებული კინოგმირები

**სოჭის ნავსადგურის სანაპიროს ცოტა ხაში ლეონიდ გაიდაის საკულტო კომედიის „ბრილიანტის ხელის“ გმირთა მონუმენტი დაამშვენებს. ეს ის ადგილია, სადაც მთავარი გმირის გორბუნკოვის კრუიზში გაცილების სცენაა გადაღებული, რომლის როლი ბრწყინვალედ შეასრულა იური ნიკულინმა.**

ეს არ არის ერთადერთი ძეგლი, რომელსაც ამ ფილმის გმირებს დაუდგამენ. შარშან შემოდგომაზე ტუაფსეში, იქ, სადაც „შავ ქვებზე“ თევზაობის ცნობილი სცენაა გადაღებული, სადაც ლამის ჭკუიდან შეშლილ ლელიკას (ანდრეი მირონოვის პერსონაჟს) წყალზე ფეხით მოსიარულე ბიჭუნა გამოეცხადა, მეორე ბრინჯაოს ძეგლი აღმართეს.

უყურადღებოდ არც სხვა კინოფილმების გმირები არიან დარჩენილნი. კერძოდ, კიევში, უკრაინის შს სამინისტროს შენობასთან აღმართულია **გლებ ჟეგლოვისა** და **ვალოდია შარაპოვის** ძეგლი, რომელთა როლები ეკრანზე **ვლადიმერ ვისოცკიმ** და **ვლადიმერ კონკინმა** განასახიერეს. უკრაინის დედაქალაქში, დიდების ხეივნის მახლობლად, დგას მფრინავის ფორმაში გამოწყობილი **ლეონიდ ბიკოვის** ძეგლი, რომელმაც დიდებულად შეასრულა **კაპიტან ტიტარენკოს** როლი მშვენიერ კინოფილმში „ბრძოლაში მიდიან მხოლოდ „ბებრები“. ბრინჯაოს **კლარა ლუჩკოს** ნახვა შეიძლება კრასნოდარში, ალტაიში, სროსტკებში კი – **ეგორ პროკუდინისა,** ფილმიდან „წითელი ძახველი“, რომელიც **ვასილი შუკშინმა** განასახიერა. მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მახლობლად მეგობრულად საუბრობენ **შერლოკ ჰოლმსისა** და **დოქტორ ვატსონის** კოსტიუმებში გამოწყობილი **ვასილი ლივანოვი** და **ვიტალი სოლომინი.** ილია ილფისა და ევგენი პეტროვის უკვდავი რომანების „12 სკამისა“ და „ოქროს კერპის“ გმირების **ოსტაპ ბენდერის, მამა თევდორესა და კისა ვორობიანოვის** ქანდაკებებს, რომელთა როლები განასახიერეს **არჩილ გომიაშვილმა** და **სერგეი იურსკიმ, მიხეილ პუგოვკინმა (მამა თევდორეძ** და **სერგეი ფილიპოვმა (კისა ვორობიანინოვიძ** ნახავთ ხარკოვში და კოსტრომის ყავახანაში „რქები და ჩლიქები“.







„უდაბნოს თეთრი მზის“ გმირის **ამხანაგ სუხოვის** ქანდაკება, რომლის როლი **ანატოლი კუზნეცოვმა** შეასრულა, დონეცკს ამშვენებს, ხოლო „დოცენტი“ კინოფილმიდან „იღბლიანი ჯენტლმენები“ **(ევგენი ლეონოვიძ** სამუდამოდ შეჩერდა კინოსტუდია მოსფილმის მოპირდაპირე მხარეს.

## დრო ჯერ კიდევ გვაქვს



**ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ სენოვსკიმ დინოზავრების საყოველთაო უეცარი გადაშენების კიდევ ერთი ჰიპოთეზა წამოაყენა.** მისი აზრით, დედამიწაზე სიცოცხლის ისტორია ციკლებადაა დაყოფილი, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობა 26,2 მილიონი წელიწადია და ყოველი მათგანი საშინელი კატასტროფით სრულდება. პირველის დასრულების შემდეგ მსოფლიო ოკეანის ბინადართა 90 პროცენტი დაიღუპა, რაც 248 მილიონი წლის წინათ მოხდა. მას კიდევ 9 ციკლი მოყვა, რომელთაგან რიგით მეშვიდეს დინოზავრები შეეწირნენ.

ჩვენ ახლა მეთერთმეტე ციკლის დასაწყისში ვართ და, ამდენად, დრო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

◉ ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● 1493 წლიდან ივანე მესამის ბრძანებით გაანადგურეს ყველა ეკლესია და ნაგებობა, რომელიც კრემლის კედლიდან 110 მეტრზე იყო, — ეს იყო პირველი ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნა.

● შუა საუკუნეებში ამ ფლოტმა არაერთხელ დაამარცხა გენუელები და ვენეციელები. დიდად აღემატებოდა თავის ძველ და მუდმივ მოწინააღმდეგეს — ბიზანტიის ფლოტს. საოცარია, მაგრამ ამ ფლოტში ოფიციალური ენა იტალიური ენა იყო და ეს გახლდათ თურქეთის ფლოტი.

● არსებობს თევზის, ბაყაყის, სისხლისა და სხვა უცნაური წვიმები. მათ შორის ყველაზე საშიში მჟავას წვიმაა.

● შოტლანდიის მიწების 67% მანანის მინდვრებს უჭირავს.

● შვეიცარიელმა ჟან-ჟაკ ბებელმა გამოითვალა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წლიდან მსოფლიომ მხოლოდ 192 წელი იცხოვრა... ომის გარეშე.

● იუტის შტატში მორმონებმა პოლიგამიაზე უარი თქვეს, ამიტომ იუტა ამერიკის სრულუფლებიანი შტატი გახდა.

● როდესაც ჟანა დ' არკმა ინგლისელი დამპყრობლებისაგან ქალაქი ორლეანი გაათავისუფლა, ის 19 წლის იყო.

● პიარი ამერიკელმა ედვარდ ბერნესმა გამოიგონა.

● 1894 წელს გერმანელმა შოვინისტებმა შექმნეს პანგერმანული კავშირი და წამოაყენეს ლოზუნგი: „მეფე პრუსიის სათავეში, პრუსია — გერმანიის სათავეში, გერმანია — მსოფლიოს სათავეში“.

● დიეგო მარადონა დიქტატორ ფიდელ კასტროს მშობელ მამას უწოდებს.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | 0 – +4 |
| ქუთაისი. | +3 – +4 |
| ბათუმი. | +2 – +5 |
| ზუგდიდი. | -1 – +4 |
| თელავი. | 0 – +6 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

ორი ქალი საუბრობს:

— წარმოგიდგენია? გუშინ საღამოს ვიღაც თავხედი მამაკაცი ამეკიდა.

— მერე რით დამთავრდა ეს ამბავი? — ეკითხება მეორე.

— არც არაფრით, ის ძალიან ნელა მოდიოდა.

* * *

ქიმიის მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

— აბა, ბავშვებო, დამისახელეთ ისეთი ნივთიერება, რომელიც მაგარი, მკვრივი მდგომარეობიდან გარდაიქმნება გაზად?

მიხო პასუხობს:

— ლობიო მასწ...

* * *

კაცი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, თქვენ წამალი რომ გამომიწერეთ, ვიშოვე.



— სად იშოვე, გაფიცებ შვილებს?

* * *

ქალის ცხოვრების ოთხი სტადია: პამპერსი, სნიკერსი, ტამპექსი, კლიმაქსი.

* * *

სამი გოგონა ფირმაში მუშაობის დაწყებას ცდილობს. პირველს ეკითხებიან:

— ქალიშვილი ხართ?

— დიახ.

— თავისუფალი ხართ.

მეორესაც იგივე ჰკითხეს:

— ქალიშვილი ხართ?

— არა.

— თქვენც თავისუფალი ხართ.

მესამესაც ჰკითხეს:

— ქალიშვილი ხართ?

— სამსახურში რომ მიმიღებთ, თავად შეამოწმეთ!

— მიღებული ხართ.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.